2014 წელი, 22-28 მაისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

# ახალი განათლება

№19 (653) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## სტუდენტი ბიბლიოთეკაში გათენებული ღამეების გარეშე ვერაფერს მიაღწევს

გვერდი 7



რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ნინო შარაშიძე

ქართული როგორც მეორე ენა

## გაზაფხული ჯავახეთში



## სკოლიდან უნივერსიტეტის გავლით სკოლამდე



გვერდი 4

# „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

„საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ ორგანიზებით, 22 მაისიდან, იწყება ინტელექტუალური ვიქტორინა.

ვიქტორინის წესები მარტივია – „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ ფეისბუკის გვერდზე გამოცხადდება წიგნის სათაური, რომელიც უნდა წავიკითხოთ, რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გვერდზე დაიდება შეკითხვები და ვუპასუხოთ წინასწარ გამოცხადებული წიგნიდან დასმულ კითხვებს.

სხვა ანალოგიური კონკურსებისაგან განსხვავებით, ვიქტორინას, ჩვენი აზრით, ერთი საინტერესო პირობა აქვს – კონკურსანტებმა წაკითხული ნაწარმოებიდან კითხვა, „რა? სად? როდის?“ ფორმატში, თავად უნდა მოიფიქრონ და გადმოგვიგზავნონ. კვალიფიციური ჟიური გამარჯვებულს კონკურსის ამ სახეობაშიც გამოავლენს. ამიტომაც ვუწოდეთ ვიქტორინას „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“.

### ვიქტორინას თავისი ერთადერთი პირობაც აქვს – კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს.

დაგვეთანხმებით, მონაწილეობის მისაღებად პირობა რთული ნამდვილად არ არის, ხოლო თუ გაგიჩნდებათ კითხვა „რა? სად? როდის?“ ფორმატის შესახებ, დასაზუსტებლად ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე: http://www.gametv.ge/„გამოგვიგზავნე კითხვა“, „10 რჩევა ავტორებისათვის“, რომელიც სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ.

### პროექტის პარტნიორები არიან:

❖ საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი, ესეისტი **გიორგი კეკელიძე**;

❖ საინფორმაციო მხარდამჭერი – გაზეთი **„ახალი განათლება“**;

❖ სატელევიზიო გადაცემა **„რა? სად? როდის?“**;

❖ „საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი“ – პრეზიდენტი **კახი კახიაშვილი**;

❖ გამომცემლობა **„ელფი“** – საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თამარ დუღაშვილი.**

* * *

*ელფის გამომცემლობა მოხარულია, რომ ერთვება „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ მიერ ორგანიზებულ პროექტში „წაიკითხე, უპასუხე, დასვი კითხვა“, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კითხვის პოპულარიზაციას. ეს პროექტი პირდაპირ კავშირშია წიგნის გამომცემლობასთან და ჩვენ, სიამოვნებით შევიტანთ ჩვენს წვლილს პროექტის წარმატებით დასრულებაში – ვიქტორინაში გამარჯვებულ მოსწავლეებს ჩვენი წიგნებით დავაჯილდოვებთ.*

**თამარ დუღაშვილი**
ელფის გამომცემლობა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

* * *

*გაზეთი „ახალი განათლება“ სიამოვნებით უწევს პარტნიორობას პროექტს „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“, რადგან მომავალი თაობის განათლებაში წიგნის კითხვის მნიშვნელოვან როლს ვერაფერი ჩაანაცვლებს. კითხვა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე. ხშირად კითხვამ შესაძლოა, შედარებით დაბალი კოგნიტური შესაძლებლობების კომპენსირებაც მოახდინოს ბავშვის ლექსიკასა და, ზოგადად, ცოდნის განვითარების გზაზე. ცოდნა ხომ სწორედ „წაკითხული ნამცეცებით“ გროვდება. „ბრძენი რომ გახდე, უნდა წაიკითხო ათი წიგნი, მაგრამ ისინი რომ იპოვო, ათასი წიგნი უნდა წაიკითხო“. ამ პროექტით ვეცდებით, ბავშვებს ის ათი წიგნი ვაპოვნინოთ, რომელიც მათ ბრძენ ადამიანებად აქცევთ.*

***„ახალი განათლების“ რედაქცია***

**პირველი ნაწარმოები, რომელიც უნდა წავიკითხოთ, შემდეგ კითხვებზე პასუხი გავცეთ და თავადაც დავსვათ კითხვა, მარკ ტვენის „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალია“.**

ეს ნაწარმოები საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, პოეტმა და ესეისტმა **გიორგი კეკელიძემ** გვირჩია. თუ რატომ, თავად განგვიმარტავს:

*წაიკითხეთ „ოდისეა“ და „ჰეკლბერი ფინი“.*

*ჰომეროსის „ოდისეა“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნია მოგზაურობაზე –ადამიანის უმთავრეს თვისებაზე და მოვალეობაზეც კი წუთისოფელში. ოდისევსის მოდელი უნიკალურია – თუ მთავარ გმირს და მის თანმხლებებს ერთ სხეულად განვიხილავთ – ის ყველაფრის ფასად ბრუნდება უკან – სამშობლოში, ითაკაში. აქ უნებლიედ გახსენდება ერთი ქართული ზღაპარი – „მიწა თავისას მოითხოვს“ – სადაც გმირი უკვდავებსაც კი თმობს და უკან ბრუნდება. დონ კიხოტიც კი ამ იდეის ამბავია. არა თუ იდალგო, ულისეს (ჯოისი) და ულისე ბაღდადიდან (შმიტი) გმირებიც კი – მოდერნულ-პოსტმოდერნული სამყაროს შვილები, გზა – როგორც წრე.*

*მაგრამ არის მეორე წიგნი, რომლის გმირსაც სამშობლო არ აქვს (აქ გვახსენდება ჰეილის კარგი მოთხრობა „უსამშობლო კაცი“‘). მარკ ტვენის ჰეკი ფინი ახალი სახის ოდისევსია – გზა, რომელსაც ის ადგას (მდინარე, ტივი), იმავე სირთულეებს მოიცავს, რასაც მისი ანტიკური „მოსახელე“ – ოღონდ ერთი სხვაობით – უკან დაბრუნებას არ გულისხმობს. თუ ჰეკლბერის და მის თანამგზავრებსაც ერთ სხეულად განვიხილავთ – ისიც უამრავი დანაკარგის ფასად მიიწევს წინ – ერთი მიზნით – შეისვენოს და ისევ წინ წავიდეს. არავინ იცის, რომელი სვლა უფრო ტრაგიკულია. მაგრამ წიგნი კი ორივე დიდი. მე შეგნებულად ჩავურთე სხვა ტექსტებიც – ეგებ მათაც გადაავლოთ თვალი. თქვენ და მეც ხომ გზაზე ვდაგვართ – აქ კი დიდი გამოცდილებები რაღაც სამსახურს გაგვიწევს.*

**ფედერაციის Facebook-გვერდია**
**საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია**



ინფორმაცია

# საქართველოს ყველაზე ინტელექტუალური სკოლა გამოვლინდა

18 მაისს საქართველო „ინტელექტის“ დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით, სკოლებს შორის, თამაშში „რა? სად? როდის? – ინტელექტის დღე 2014“ დასკვნითი რაუნდი გაიმართა.

ფინალში ბათუმის პირველი საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, შარშანდელი ჩემპიონი, თბილისის კომაროვის 199-ე საჯარო სკოლის გუნდი, წელს მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ფოთის გუნდმა დაიკავა. თამაშში კერძო სკოლების გუნდებიც მონაწილეობდნენ.

ყველაზე მასშტაბურ ინტელექტუალურ შეჯიბრში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალურ რაუნდში გამარჯვებულ 72 სკოლის გუნდს შორის, საუკეთესო გამოვლინდა. მონაწილეებმა 36 შეკითხვას უპასუხეს.

ფინალურ თამაშს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** დაესწრნენ. პროექტის ორგანიზატორები არიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ინტელექტ-კლუბი „რა? სად? როდის?“;
- პროექტის გენერალური პარტნიორია „კავკასიის უნივერსიტეტი“;
- პარტნიორები: „IDS ბორჯომი საქართველო“ და გამომცემლობა „პალიტრა L“.

„ინტელექტის დღე“ წელს უკვე მესამედ იმართება. 2014 წელს პროექტში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 1500-მდე სკოლა მონაწილეობდა.



# ზაფხულისა და ზამთრის სკოლებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სტუდენტებისთვის, 2013 წლიდან, აამოქმედა და სისტემატურად ახორციელებს „ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროგრამებს“. გაიმართა 2013-2014 სასწავლო წელს განხორციელებული ზაფხულისა და ზამთრის სკოლების შედეგების შემაჯამებელი კონფერენცია. წარმოდგენილი იყო 8 გამარჯვებული პროექტი, რის შემდეგაც განხილულ იქნა განხორციელებული პროექტების აქტუალური მხარეები და სამომავლო პერსპექტივები. კონფერენციის საპატიო სტუმარი იყო პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**.

უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხელისუფლების მიერ ინიცირებულ ახალ საგანმანათლებლო პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და იმედი გამოთქვა, რომ ზაფხულისა და ზამთრის სკოლები ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებასა და თვალსაწიერის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

პრემიერის შეფასებით, ასეთი პროგრამები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების გზაზე. *„სწორედ ამიტომაც არის განათლების მხარდაჭერა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. ამაზე მეტყველებს ჩვენ მიერ დაარსებული განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღებაში დაეხმარება. ჩვენი მთავრობა ძალას არ იშურებს, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ყველა პირობა შევუქმნათ განვითარებისა და ცოდნის რეალიზებისთვის. მე მჯერა ჩვენი ახალგაზრდების, მე მჯერა თქვენი,“* – მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კონფერენციის მონაწილე ახალგაზრდებს.

სამინისტროს მიერ ინიცირებული „ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროექტის“ მიზანია, კონკურსის წესით დაფინანსდეს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პროექტები მეცნიერულად აქტუალურ და რელევანტურ თემებზე. მიმდინარე სასწავლო წელს შემდეგი პროექტები დაფინანსდა:

1. **„შესავალი ციფრულ ფილოლოგიაში“** (ჩართული იყო 3 უნივერსიტეტის 24 სტუდენტი);
2. **„დიგიტალური ჰუმანიტარია – ქართველოლოგია და XXI საუკუნის გამოწვევები“** (ჩართული იყო 7 უნივერსიტეტის 24 სტუდენტი);
3. **„ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში“** (ჩართული იყო 3 უნივერსიტეტის 20 სტუდენტი);
4. **„კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებაში“** (ჩართული იყო 6 უნივერსიტეტის 29 სტუდენტი);
5. **„სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის ფიზიკური პრინციპები“** (ჩართული იყო 4 უნივერსიტეტის 62 სტუდენტი);
6. **„რელიგიის კლასიკური კრიტიკიდან რელიგიის თავისუფლების იდეამდე“** (ჩართული იყო ილიას უნივერსიტეტის 9 სტუდენტი, მათ შორის უცხოელი სტუდენტები);
7. **„ალტერნატიული ენერგიის წყაროების გეოფიზიკური შეფასება“** (ჩართული იყო 8 უნივერსიტეტის 33 სტუდენტი);
8. **„სწავლის ინოვაციური ორიენტირები“** (ჩართული იყო 5 უნივერსიტეტის 20 სტუდენტი).

პროექტი „ზაფხულისა და ზამთრის სკოლები“ სტუდენტებს თვითრეალიზებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს და კონკრეტული მიმართულებით გაცილებით მეტ ცოდნას სთავაზობს, ვიდრე ერთი რომელიმე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. პროექტის ფარგლებში, სტუდენტები სწორედ იმ თემებს ირჩევენ, რაც მათი ინტერესის სფეროს განეკუთვნება. ერთ თემაზე მუშაობის შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო), ასევე, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებს. პროექტი ითვალისწინებს გამარჯვებული პროექტების გამოცემას და ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომობას.

პროექტის ფარგლებში, სტუდენტებს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან ცნობილი პროფესორები, მეცნიერები, ექსპერტები ხვდებიან, უტარებენ მასტერ-კლასებს, სემინარებს, უზიარებენ გამოცდილებას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებას და საინტერესო ექსპერიმენტებში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

კონფერენციის მიზანი იყო შეფასებების, შენიშვნებისა და წინადადებების მოსმენა, რაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული 2014-2015 სასწავლო წლის „ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროექტზე“ მუშაობისას. **თამარ სანიკიძის** განცხადებით, კონფერენციის შემდეგ გაანალიზდება ჩატარებული სამუშაოს ძლიერი და სუსტი მხარეები და მომავალი სასწავლო წლისთვის პროექტი უფრო სრულფასოვნად და წარმატებით გაგრძელდება, მთავარი აქცენტი გადატანილი იქნება სწორედ იმ პროექტების დაფინანსებაზე, რომელიც რეგიონებიდან უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას უზრუნველყოფს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქართველი და უცხოელი სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

# ფრანგი და სამხრეთ კავკასიელი მეცნიერების ერთობლივი პროექტი გრძელდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ჯგუფის (GDRI) – „სამხრეთ კავკასიის გეოლოგიური მეცნიერებები“ – ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**, საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართულებით **ჟენევიევ ფიორასო**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **რადიკ მარტიროსიანი**.

სამეცნიერო ჯგუფი, 2010 წელს, ფრანგი და სამხრეთ კავკასიელი მეცნიერების მიერ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ფარგლებში წამოჭრილი პრობლემატური საკითხების გასაანალიზებლად შეიქმნა.

პირველი პროექტი 2010-2014 წლებში განხორციელდა, რამაც პროექტის პარტნიორებს შორის მჭიდრო სამეცნიერო-კვლევით ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი. პროექტის პარტნიორები არიან: ნიცა-სოფია ანტიპოლისის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ლილის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), სომხეთის გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (სომხეთი), სომხეთის დედამიწის სეისმოლოგიური და ფიზიკური ასოციაცია (სომხეთი) და სხვ.

კვლევითი ჯგუფის განახლებული პროექტი ხელს შეუწყობს დედამიწის მეცნიერებების საკითხებზე მომუშავე მკვლევართა თანამშრომლობას საფრანგეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ახალი პარტნიორის სახით – უკრაინიდან.

განსაკუთრებული სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, მეორე ეტაპის (2014-2017 წწ.) განმავლობაში, აქცენტი გაკეთდება ბუნებრივ რესურსებსა და სეისმურ რისკებზე.

თანამშრომლობისთვის GDRI იდეალურ ფორმას წარმოადგენს, რადგან იძლევა ინფორმაციის გაზიარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზების, მკვლევართა და სტუდენტთა გაცვლის საშუალებას. ამავე დროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით, შესაძლებელია სამეცნიერო აქტივობების განხორციელება „მარკო პოლოს პროგრამის“ და „ერაზმუს მუნდუსის პროექტის“ ფარგლებში.

## *იურისტის კონსულტაცია*

**შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება მხარეებმა განსაზღვრონ შრომის კოდექსისაგან განსხვავებული პირობები?**

შრომითი ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ შრომის კოდექსისაგან განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას. ბათილია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან დამსაქმებლის მიერ პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე გამოცემული დოკუმენტის ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

**ვინ შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობის სუბიექტი?**

შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით.

**ვინ შეიძლება იყოს ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტი?**

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დამსაქმებელი და დასაქმებული.

**ვინ შეიძლება იყოს კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტი?**

კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

**რა ასაკიდან წარმოიშვება ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა?**

ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

**შესაძლებელია 16 წლამდე ასაკის პირმა იმუშაოს?**

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი უერთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ ან გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

**რა შემთხვევაში შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან?**

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

**რა შემთხვევაშია აკრძალული არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება?**

არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება აკრძალულია ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად, ასევე აკრძალულია არასრულწლოვანთან, ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

*ნატა ჩანადირი*
*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი*

# ერთი სკოლის მაგალითზე – ახალი ინოვაციებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა

ლალი ჯელაძე

სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში, ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის მიზნით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის კონფერენცია მოეწყო, სახელწოდებით – „ჩვენი მიღწევები ახალი მეთოდების დანერგვაში“. კონფერენციის ჩატარება იმან განაპირობა, რომ სკოლა, 2000 წლიდან მოყოლებული, ყველა იმ საგანმანათლებლო სიახლის დანერგვისა და ინოვაციურ პროცესშია ჩართული, რაც ამ სფეროში ხდება. *„დღეს თუ ვასწავლით ისე, როგორც გუშინ ვფიქრობდით, მაშინ ჩვენს შვილებს მომავალს ვართმევთ“* – ჯონ დუის სიტყვები კონფერენციის ერთგვარი სლოგანი იყო.

როგორც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **გულიკო ხორბალაძემ** განაცხადა: *„სიახლეების მიმღებლობა ძალიან მაღალია და ყველა საინტერესო ინოვაციას ვნერგავთ სკოლაში. სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული მასწავლებლების დიდი ჯგუფი, მენტორი მასწავლებელი, გარდა ამისა, სკოლაში მუშაობს „შვიდკაცას ჯგუფი“, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობითა და მათი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა. ჯგუფში ჩართულნი არიან სკოლის სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელები. სკოლა, ასევე, ჩართულია დაწყებითი განათლების პროექტში – G-PriEd, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – USAID მხარდაჭერით, ახორციელებს.*

*დასახელებულმა გარემოებებმა და მასწავლებლების მონდომებამ, მათ მიერ გაწეულმა მუშაობამ გვაფიქრებინა, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება და გარკვეული რესურსი დაგვიგროვდა როგორც მასწავლებლების, ისე სასწავლო მასალების სახით. ამიტომ გადავწყვიტეთ, ყველაფერი ეს გაგვეზიარებინა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ამავე საფეხურის პედაგოგებისათვის და, რაც მთავარია, წარმოგვეჩინა ის, რაც წლების განმავლობაში გავაკეთეთ. ეს ერთგვარი სტიმულია პედაგოგებისათვის. მოვიწვიეთ ჩვენი რაიონის 12-ვე სკოლის მასწავლებლები. სასიამოვნოა, რომ ჩვენს ინიციატივას დიდი დაინტერესება მოჰყვა.“*

კონფერენციაზე პედაგოგებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს.

სკოლის მენტორმა მასწავლებელმა, **ნესტან კუპრავამ,** ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ახორციელებს ქართული ენის გაკვეთილებზე დიფერენცირებულ მიდგომებს. *„ცოტა პრეტენზიული მომეჩვენა ჩემი თემის სათაური – „დიფერენცირებული სწავლების მიდგომები დაწყებით საფეხურზე“. არ მინდა ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ჩვენს სკოლაში უკვე დიფერენცირებული სწავლება მიმდინარეობს, ჯერ მხოლოდ ვემზადებით ამისთვის. როგორც იტყვიან, კბილი მოვუსინჯეთ და გვინდა, ეს მეთოდი განვავითაროთ, უფრო ფართოდ დავნერგოთ სკოლაში და თითოეული მოსწავლის საჭიროებას მოვარგოთ, რადგან ეს არის სხვადასხვა საჭირო რესურსის, ორგანიზების, ფორმის, ტექსტის, მეთოდის მორგება მოსწავლეებზე. მოგეხსენებათ, კლასში სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები გვყავს – არიან როგორც მაღალი მიღწევების, ისე საშუალო და დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეები. როდესაც მათ ერთი ტექსტით, მეთოდით და რესურსით ვასწავლით, ხშირად უჭირთ ამ ყველაფრის გააზრება – ზოგს ეადვილება, ზოგისთვის კი ძალიან რთულია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, გვეპოვა ფორმა, რომ გაკვეთილი თანაბრად საინტერესო გაგვეხადა. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა მათი შესაძლებლობები, ინტერესები, ცოდნის დონე და დამოკიდებულება უნდა გაითვალისწინოს. სწორედ ამის დანერგვას ვცდილობთ. თუმცა, არ არის ისე, რომ დავიწყებთ დიფერენცირებულ სწავლებას, ყველა აგვყვება და უმალვე განხორციელდება პრაქტიკაში. ამ მიდგომებით სწავლებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საფრთხეები და რისკები, რომელიც მას თან ახლავს. ძალიან ფრთხილი მიდგომაა საჭირო. როცა ამ მეთოდით ჩავატარე გაკვეთილი, ძალიან მომეწონა და სწორედ ამიტომ ავირჩიე ეს თემა დღევანდელ კონფერენციაზე წარსადგენად. ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთი მიდგომის დროს ყველა მოსწავლე ავლენს საკუთარ შესაძლებლობას. ამის შემდგომ ვადგენთ მოსწავლეთა იმ კატეგორიას, რომელთაც სწავლა ეძნელებათ და სწორედ მათ დახმარებას ვცდილობთ. თუმცა, ამისთვის რესურსი ძალიან მწირია.*

*ახლა გეტყვით, თუ რა რისკები შეიძლება წარმოიშვას დიფერენცირებული სწავლებისას: შეიძლება მასწავლებელი ვერ მოერგოს ყველა ჯგუფს; წინააღმდეგობა შეგხვდეს მშობელთა მხრიდან, შეიძლება გააპროტესტონ შვილის რომელიმე დიფერენცირებულ ჯგუფში მოხვედრა, ვთქვათ, დაბალი მიღწევის მქონე ჯგუფში და ა.შ. შესაძლოა, ჩათვალონ, რომ ასეთი ტიპის სწავლება მის შვილს არ სჭირდება; შეიძლება, მოსწავლე გააღიზიანოს იმ დიფერენცირებულ ჯგუფში მოხვედრამ, რომელსაც მასწავლებელი მიაკუთვნებს და ა.შ. თუმცა, ჩვენს პრაქტიკაში მკვეთრი წინააღმდეგობა არ შეგვინიშნავს. ჩემს კლასში დავნერგე ამგვარი მიდგომით სწავლება, მაგრამ არის ერთი საყურადღებო გარემოება – ამ მეთოდით გაკვეთილების ჩატარებაში აქტიურად მეხმარებოდა ოთხი მაძიებელი პედაგოგი. ჩვენ ექვსი დიფერენცირებული ჯგუფი შევქმენით, აქედან ორი იყო ისეთი, რომელსაც არავის დახმარება არ სჭირდებოდა, ოთხს კი ჩვენ ვემსახურებოდით. ჩვენს კლასებში ამიტომაც განხორციელდა ეს მიდგომები ასე ნაყოფიერად. მაგრამ ჩნდება კითხვა: რა მოხდება მას შემდეგ, როცა კლასებში დამხმარე არ გვეყოლება? ალბათ, უფრო მეტი მუშაობა დაგვჭირდება.*

*ვერ დავიტრაბახებთ, რომ სკოლაში დიფერენცირებულ მიდგომას სრულად ვახორციელებთ, მაგრამ, ამისთვის ვემზადებით. დღეს მინდა კოლეგებს გავაცნო, რამდენად საინტერესო და საჭიროა დიფერენცირებული მიდგომებით სწავლება. მეთოდიკა სხვადასხვა წყაროდან შევისწავლეთ, მასწავლებელთა სახლს აქვს სპეციალური პედაგოგიური ლიტერატურა , ასევე G-PriEd-ის პროექტშიც განვავითარეთ „კითხვის მეთოდები დაწყებით კლასებში“ და ვცდილობთ, ჩვენს სკოლაში დავნერგოთ. უფრო მეტად მართული კითხვის პრაქტიკის მეთოდი განვახორციელეთ დიფერენცირებული მიდგომებით. მართული კითხვა ნიშნავს, რომ როდესაც ბავშვი ორიენტირებულია კითხვაზე, რომელსაც ჩვენ ვუგეგმავთ, შემდეგ ის წაკითხული ტექსტის ღრმად გააზრებას ცდილობს. ამისთვის ვიყენებთ სხვადასხვა კოგნიტურ სქემას, მაგალითად: სიტყვის პირამიდა, პერსონაჟის დახასიათების სქემა და ა.შ. ეს მეთოდი ყველასთვის ერთია, თუმცა ყველა დიფერენცირებულ ჯგუფთან განსხვავებული მიდგომით ხორციელდება. ამას ექსპლიციტურ და ინპლიციტურ ინფორმაციებს ვეძახით. ინპლიციტური ნიშნავს დაფარულ ინფორმაციებს, რომლის ამოცნობას და გააზრებას მაღალი მიღწევების მქონე ბავშვები შეძლებენ; მოსწავლეებს, რომლებსაც შედარებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, ექსპლიციტური ინფორმაციის მქონე ტექსტი მივეცით – ინფორმაცია, რომელიც ტექსტის ზედაპირზე დევს და განსაკუთრებული წვდომა არ სჭირდება.*

*გამოვლინდა, რომ მეორეკლასელებს კოგნიტურ სქემებზე მუშაობა უჭირთ, ამდენად კოგნიტური სქემები მართლაც საჭიროებს დიფერენცირებას. გარდა ამისა, მეორეკლასელებს არა აქვთ დროის კონცენტრაცია, ამიტომ ძალიან გაუჭირდათ და უფრო მეტი დრო დაგვჭირდა, ვიდრე ველოდით – ორი გაკვეთილი მოიცვა. გეტყვით, რა მომეწონა – მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინეს, თვითრწმენა განუმტკიცდათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ დამაფიქრა ერთმა გარემოებამ – მაძიებლებთან ერთად კარგად გავართვი გაკვეთილს თავი, მაგრამ მათ გარეშე, ასეთი რთული მეთოდით, შევძლებ მარტო მუშაობას? ყველაფრის მიუხედავად, ჩემი დამოკიდებულება არ შეცვლილა – დიფერენცირებული მიდგომებით სწავლება აუცილებელია, დასაწყებია, საინტერესო და შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, ვაპირებ, უფრო ფართოდ გავშალო.“*

დიფერენცირებული მეთოდების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილზე **ხათუნა ჩიტიაშვილმა** წარმოადგინა, ხოლო ინგლისური ენის გაკვეთილზე – **მაკა ჭელიძემ.**

პედაგოგებმა: **ნანა გეგიამ, ინგა ურუშაძემ** და **ქეთევან ძაძამიამ**, მათ მიერ განხორციელებული ერთი საინტერესო მეთოდის შესახებ ისაუბრეს – „დიდი წიგნით“ ჩატარებული გაკვეთილი პირველ კლასში. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვის მეთოდის სკოლაში დანერგვა სწორედ ამ პედაგოგების ინიციატივაა, რომელიც ჰოლისტური მიდგომით მუშაობას გულისხმობს – ტექსტიდან აზრის გამოტანა. ჰოლისტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი სწორედ დიდი წიგნების ერთობლივი კითხვაა. რას განავითარებს ეს მეთოდი?

პრეზენტატორმა **ინგა ურუშაძემ** განმარტა, რომ: *„დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა საგრძნობლად აამაღლებს პატარა მკითხველის მოტივაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ჰოლისტური მეთოდის ქვაკუთხედიც სწორედ კითხვის ტექნიკის ამაღლებაა. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად მოსწავლე შეძლებს მოისმინოს, ადეკვატურად აღიქვას და გადმოგვცეს მარტივი ინფორმაცია, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ. ძალიან საინტერესოა დიდი წიგნების დამზადების პროცესიც, რომელიც ბავშვების ჩართულობით იქმნება – 4-დან 16 გვერდამდე. წიგნში კარგად ხილვადი ასოებით იწერება, ასევე, იხატება ილუსტრაციები, ამ პროცესში, მოსწავლეების გარდა, ჩართულები არიან მშობლებიც. პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად ვნერგავთ ამ მეთოდს, რაშიც გვეხმარება სკოლის მენტორი პედაგოგი ნესტან კუპრავა.“*

სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების შვიდკაციანი ჯგუფი, რომლის მოვალეობაა კოლეგებისათვის გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობით გაკვეთილების დაგეგმვა, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის კურატორი გახლავთ **მაია ინასარიძე**.



**მაყვალა ალელიშვილი:** *„შვიდკაცა“ სკოლაში ძალიან ეფექტურად მუშაობს, ამის დასტურია ის, რომ განხორციელდა საბუნებისმეტყველო საგნების კვლევა – მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო საგნებში არსებული პრობლემები. შემდეგ შევიმუშავეთ რეკომენდაციები.* ***მადონა ჩუბინიძის*** *ხელმძღვანელობით შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა. გამოვიკვლიეთ – რას ფიქრობდნენ მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ჩვენდა სასიხარულოდ, მოსწავლეებიც და მშობლებიც კარგად არიან ინფორმირებულები, მასწავლებლები – თავისთავად. ვცდილობთ, გამოვავლინოთ ხარვეზები, რათა შემდგომ მათი გამოსწორების გზები დავსახოთ. „შვიდკაცას“ მუშაობაში მთავარი არის ის, რომ ერთმანეთის კრიტიკული მეგობრები ვართ, ვცდილობთ შენიშვნები ერთმანეთს უწყინარი სახით გავუზიაროთ, რათა შემდგომში შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ვგეგმავთ და ვატარებთ სამოდელო გაკვეთილებს. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ჯგუფში მუშაობამ ხელი შეგვიწყო პროფესიული დონის ამაღლებაში, ინოვაციური მეთოდების გაცნობასა და ურთიერთანამშრომლობით პრობლემების დაძლევაში. დღევანდელ კონფერენციაზე ჩემი და* ***თათია ჩიხლაძის*** *ერთობლივი პრეზენტაცია მხატვრული და შემეცნებითი ტექსტების სწავლების საინტერესო მეთოდებს ეხება. გვინდა, ჩვენი გამოცდილება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გავუზიაროთ.“*

კონფერენციაზე არალინგვისტური მეთოდებით სწავლების თავისებურებების შესახებ **ზეინაბ კაჭკაჭურმა** და **ანა მაისურაძემ** ისაუბრეს; „ჯიქსოუს“ მეთოდით მეექვსე კლასში ჩატარებული გაკვეთილი კოლეგებს **მადონა ჩუბინიძემ** გააცნო; სასწავლო თამაშების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე კოლეგებს **მაია ბერიძემ** შესთავაზა; პედგოგებმა – **ნანა კაკაურიძემ, მაგდა დოჭვირმა** და **თამარ ველიჯანაშვილმა** – V-VI კლასებში ისტ-ის გამოყენებით მათემატიკის გაკვეთილების ჩატარების დემონსტრირება მოახდინეს; მართული კითხვის პრაქტიკა ქართული ენის გაკვეთილებზე **მაია ლაზარაშვილმა** წარმოადგინა; „ჩვენი უფლებები ჩვენი საგანძურია“ – ასეთი საგაკვეთილო თემით პედაგოგმა **მაია რეხვიაშვილმა** სცადა ეჩვენებინა პროექტ-გაკვეთილების საზოგადოებრივი და სასწავლო მიზნებისათვის გამოყენება.

ძალიან საინტერესო პრეზენტაცია ჰქონდა **გიული ჩაგელიშვილს** (თანაავტორი – **გულნაზ ხორბალაძე**), რომლის თემა ეხებოდა ზნეობრივი ღირებულებების წვდომას ლიტერატურის სწავლების პროცესში. პრეზენტაციის დასაწყისში მან განაცხადა, რომ მეექვსე კლასს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის და განსაკუთრებულს, ახალს და უნიკალურს ვერაფერს იტყოდა, უბრალოდ, საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებდა კოლეგებს, თუ როგორ ცდილობენ, რომ გაკვეთილები მოსწავლეების ზნეობრივ აღზრდაზე იყოს ორიენტირებული. მან ეს რევაზ ინანიშვილის არაჩვეულებრივი მოთხრობის – „წითელი ნეკერჩხლის“ – მაგალითზე გვაჩვენა.

**გიული ჩაგელიშვილი**: *„ლიტერატურის გაკვეთილების უპირველესი მიზანი ყოველთვის იყო მოსწავლეთა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა – ვასწავლოთ ბავშვებს სილამაზის დანახვა და ამ სილამაზის მიღმა ზნეობრიობა. ეს თანამედროვე ახალგაზრდობისათვის პრობლემურია, ზნეობრივი ნორმები, თითქოს, გარე სამყაროს აგრესიის ქვეშ დგას. ძალიან მეხმარება გურამ დოჩანაშვილის შესანიშნავი სიტყვები, რომელსაც ხშირად ვახსენებ მოსწავლეებს – „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ და უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“.*

ერთი გაკვეთილის საუკეთესო ნიმუშით დავინახეთ, თუ როგორ შეიძლება სამი ზნეობრივი ასპექტის – ზნეობრივი ცოდნა, ზნეობრივი გრძნობა და ზნეობრივი ქცევა – ეტაპობრივად გავლის შემდეგ, მოსწავლეების ზნეობრივ ქცევამდე მიყვანა, როგორც გითხარით, ეს „ნეკერჩხლის წითელი ფოთლის“ მაგალითზე მოხდა. პრეზენტაციის დასასრულს, მასწავლებელმა ბავშვების წარმოსახვით დასურათებული ეპიზოდები წარმოადგინა. ყველაზე უკეთ გაკვეთილის შედეგი ბავშვების მიერ დაწერილ ლექსებში გამოვლინდა, რომელსაც გვერდს ვერაფრით ავუვლი და მეტიც, მას დასკვნის სახით შემოგთავაზებთ – ეს არის საუკეთესო მაგალითი, როგორ შეიძლება ლიტერატურის სწავლების პროცესში ზნეობრივი ღირებულებების წვდომა და როგორ დაინახეს ბავშვებმა წითელი ნეკერჩხალი: *„წითელი ფოთოლი ირმის მოლოდინში დაბერდა წითლად ნეკერჩხლის ტოტებში“* (**ლუკა ქუთათელი**); *„იყო სევდა, იყო ნაღველი, იყო მზე ნათელი, იყო ცა კრიალა, ფოთოლი – წითელი, ირემი – მყვირალა“* (**გიორგი ჭანია**); *„შამააბიჯა ირემმა ფეხი ლამაზად ტყეშია, იქ დახვდა ერთი ფოთოლი ჩამოკიდული ხეზედა. ფოთოლი ნეკერჩხალისა არის დიდი და წითელი, მოსწყდა, დაეცა თოვლზედა, მასზე ატირდა ირემი“* (**საბა ტყეშელაშვილი**); *„ფოთოლი, ფოთოლი ირემს ელოდა, თურმე მწუხარედ და ნაღვლიანად. დაიწყო ბარდნა, გამოჩნდა ირემი, აყვავდა ცა, აყვავდა მთა, გაცოცხლდა ფოთოლი“* (**ნინო როდონაია**); *„ნელ-ნელა ბნელდება, მსუქანი მაჩვი კი ილანძღება, სურს სულიერად გატეხოს ფოთოლი, მაგრამ ის მაინც ვიღაცას ელოდება“* (**გიორგი ცინცაძე**).

მცდელობა იმისა, რომ კარგი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ იმაზე ოდნავ უკეთესები გახდნენ ბავშვები, ვიდრე იყვნენ, მართლაც შედეგიანია. მე კი, უბრალოდ იმას დავამატებ, რომ 22-ე სკოლის პედაგოგებს მართლაც დიდი გამოცდილება დაუგროვდათ იმისათვის, რომ კოლეგებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ. ძალიან საინტერესო კონფერენცია დისკუსიით დასრულდა.

# გაზაფხული ჯავახეთში

გამარჯობა. მე რამდენიმე თვეა ჯავახეთში ვცხოვრობ. ჯავახეთი მარტოსული არწივივითაა; ძალიან მაღლაა და თითქოს მიტოვებულია.

უკვე ორი თვეა, გაზაფხული დაიწყო „დანარჩენ“ საქართველოში, აქ კი ყოველდღე ველი მის მობრძანებას. ის თითქოს არც ჩანს,



მაგრამ მხოლოდ მე ვფიქრობ ასე. ჩემს მოსწავლეებს რომ ვკითხე – აქ გაზაფხული თუ არის-მეთქი, მიპასუხეს – კიო. მე კიდევ ვუთხარი – არა, თქვენ უგაზაფხულო ჯავახეთში ცხოვრობთ-მეთქი. ყველას მოსდის შეცდომა და შეცდა მათი მაკა მასწავლებელიც... როგორ არ არის გაზაფხული ჯავახეთში, ნამდვილად არის! უბრალოდ მე, იმერელი გოგო, უფრო ნაკლებად ვგრძნობ მას, ვიდრე აქაურები. მე ხომ სითბოს და სიხალისეს ვარ ჩვეული, ესენი კი ცივ გაზაფხულსაც ხელგაშლილი ეგებებიან...

თითქოს გამოიდარაო, ჩაიცვამ თხლად და უცებ ისეთი ქარი დაუბერავს, რომ სიცივისაგან შეიკუმშები. ალბათ მაშინ უბერავს ქარი, როცა მარტოსული არწივი ფრთებს გაშლის და თავის არე-მარეს გადახედავს. ჯავახეთიც აიწევს მაღლა ქარის მეშვეობით და გადახედავს „იქეთა“ საქართველოს. ერთხელ რომ გადახედა და ყვავილები დაინახა, მიხვდა, რომ მის ხალხსაც სჭირდებოდა ყვავილები, ამიტომ მიმოაბნია, თითქოსდა, მწვანე ველზე ბანტებად მიმაგრებული ყვავილები. მაინც წასძლია მარტოსულობამ და ერთხელ თეთრი ქურთუკიც კი მოახვია ახალმოსულ მარგალიტებს.

აქ ძალიან ბევრი წეროა... როცა „გავბავშვდები“ და „წეროებს“ ვითამაშებ, აღარასოდეს ვიტყვი, რომ წეროები შორს მიფრინავენ. ვიტყვი – წეროები არც თუ ისე შორს, ჯავახეთში



მიფრინავენ. მარტოსულ არწივთან მიდიან პაწაწინა ჩიტუნები, რომ გაზაფხული ახარონ.

მაინც როგორ იხატება გაზაფხული ჯავახეთში? როგორ? – წეროებით სავსე ბუდეები, ყვავილებით მოციმციმე მწვანე მოლი, მზის სხივებით მოთამაშე ნაძვის ხეები, ბოლოს და ბოლოს ბოსლიდან გამოსული ფრინველცხოველი და სასწაული, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვიხილე – ჭრელკაბიანი პეპელა, რომელიც ყვავილზე ჩამომჯდარიყო დასასვენებლად. მან ხომ დიდი გზა გამოიარა აქ მოსასვლელად და ვინ იცის, შეიძლება სამუდამო განსატევებელსაც კი ელოდა იმ დღეს...

აი, ესაა ჯავახეთი, ჩემს გაზაფხულში თვალმოჟუჟუნე!

**მაკა ფარქოსაძე**
*ნინოწმინდის რაიონის სოფელ კათნატუს მოხალისე მასწავლებელი*

# სკოლიდან უნივერსიტეტის გავლით სკოლამდე

დაწყებით კლასებში ჩემთვის რომ გეკითხათ, ვინ მინდოდა გამოვსულიყავი, დაუფიქრებლად გიპასუხებდით, რომ მასწავლებელი. მაშინ ზედმეტად პატარა ვიყავი იმისთვის, რომ გამეცნობიერებინა, ცოდნასთან ერთად რამდენ შრომას, რამხელა ნებისყოფასა და ძალას მოითხოვს ეს პროფესია.

გავიზარდე და დავფიქრდი მომავალზე, რატომღაც ჩემი თავი მასწავლებლად ვერ დავინახე. თუმცა, ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე. შეიძლება ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას „დაგეგმილი სიურპრიზი“ ეწოდოს, მაგრამ, ფაქტია, მე სკოლაში ვარ და მასწავლებელი მქვია. მართალია, მოხალისე, მაგრამ მაინც მასწავლებელი. ჩვენს საუკუნეში, ერთი შეხედვით, ძალზე ბანალური, თითქოს მოდიდან გადასულია მასწავლებლის პროფესია. თუმცა მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ეს ის საქმიანობაა, რომელსაც ვერასდროს სხვა რამ ვერ ჩაანაცვლებს. ყოველთვის, როცა ამაზე ვფიქრობ, მახსენდება ჩემი ყველაზე საყვარელი პედაგოგის სიტყვები: *„რამდენი საუკუნეა არსებობს სკოლა და ეს პროფესია, კაცობრიობამ კი დღემდე ვერ მოიგონა მისი შემცვლელი უკეთესი სისტემაო“*. აბსოლუტურად ვეთანხმები, ეს ის საქმეა, რომელიც არასოდეს გადავა ე.წ. მოდიდან.

უნივერსიტეტი ჯერ კიდევ არ მქონდა დამთავრებული, როცა გადავწყვიტე ჩართვა პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“. ყველა საფეხურის გავლის შემდეგ პროგრამის სრულუფლებიანი მონაწილე გავხდი. სექტემბრიდან კი, შევუდექი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ვინაიდან ეს ჩემი პირველი სამსახური იყო და თანაც ძალზე საპასუხისმგებლო, მთელი მონდომებით მოვეკიდე. მართალია, თავიდან ცოტა დაბნეული ვიყავი, უცხო იყო ჩემთვის მასწავლებლის როლის გათავისება, მაგრამ მალევე ავუღე ალღო, რაც, პირველ რიგში, თავად მოსწავლეებისა და ჩემი წინამორბედის დიდი დამსახურება იყო. ფაქტობრივად, მის მიერ გაკვალულ გზაზე მომიწია სიარული.







ჩემი მთავარი მიზანი სკოლაში მისვლისას იყო მოსწავლეებს შეეყვარებინათ და უკეთესად ესწავლათ ქართული ენა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობდა ვინმესთვის ჩემი შეხედულებებისა და ინტერესების თავზე მოხვევას. ყველა პედაგოგს მიდგომის სხვადასხვა, თავისებური ხერხი აქვს. ბავშვებთან მუშაობა საოცრად ფაქიზი და შრომატევადი საქმეა. მე ბავშვებთან ურთიერთობის ჩემებური, მეგობრული გზა ავირჩიე.

გაკვეთილების ჩატარება პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მევალება, თუმცა მაღალ კლასებთან მუშაობაც მიწევს ხოლმე. განსაკუთრებით მინდა გამოვყო პირველი კლასი – ბავშვები, რომლებიც, ჩემი აზრით, სკოლაში გამორჩეულები არიან. ცხრამეტი მოსწავლიდან თითქმის ყველა კარგად სწავლობს. ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურია, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, თუმცა ამ კლასში სწავლების პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. ძალიან საინტერესო იყო ანბანზე მუშაობა, თითოეული ასოს შესწავლა და წერის თანდათან ათვისება. საოცარია ამ ნამცეცა ბავშვების გამართული დიალოგის მოსმენა, ისეთის, ზოგ მაღალკლასელსაც რომ შეშურდება.

პროექტისთვის სპეციალურად შედგენილი წიგნებით ვასწავლით, ყველა კლასში – სათანადო დონის მიხედვით. ვინაიდან, ეს წიგნები გათვალისწინებულია ენის შესასწავლად, მასში ნაკლებადაა შეტანილი ქართველი მწერლების კონკრეტული ნაწარმოებები თუ ლექსები. ამიტომაც გადავწყვიტე, რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი პოეტი და მწერალი გამეცნო ჩემი მოსწავლეებისთვის. რადგან გალაკტიონ ტაბიძის 122 წლის იუბილე ახლოვდებოდა (თემატურიც იყო და აუცილებელიც), ბავშვებისთვის გამეცნო ქართული პოეზიის მეფე. გალაკტიონის ყველაზე ცნობილი ლექსები ავარჩიე და მოსწავლეებს დავურიგე. ზოგიერთს ბიოგრაფია მივეცი სასწავლად. ჩემდა გასაკვირად, ბავშვებმა მაშინვე აიტაცეს გალაკტიონი, მიუხედავად სირთულისა, დაძლიეს და საკმაოდ კარგად ისწავლეს. მოსწავლეებმა, რომლებიც ხატავდნენ, ინტერიერი გალაკტიონის პორტრეტებით გაგვილამაზეს. დიდი სამზადისის შემდეგ, კედლის გაზეთით, ლექსებითა და სიმღერით გალაკტიონის 122 წლის იუბილე აღვნიშნეთ. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა. ბოლოს ჩემმა მოსწავლეებმა ულამაზესი წითელი ვარდების თაიგული მომართვეს. გალაკტიონს მოჰყვა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შესახებ ღია გაკვეთილები მე-6 და მე-5 კლასებში. როდესაც ჩემმა მოსწავლეებმა აკაკი წერეთლის „ციცინათელა“ და „ჩონგურს სიმები გავუბი“ შეასრულეს, თვალზე ცრემლიც კი მომადგა. ასეთი შეგრძნებების შემდეგ მეამაყება ქართველობა და მეტის გაკეთების სურვილი მიჩნდება. 14 აპრილი ახლოვდებოდა, თადარიგი დავიჭირე, მინდოდა კარგი გამოსულიყო ეს დღე და ბავშვებს ლექსები წინასწარ დავურიგე. სასიამოვნოდ გამაოცა მათმა მონდომებამ – ერთ ლექსს რომ ვაძლევდი, მაშინვე მეორესაც მთხოვდნენ. არადა, თავიდან ვფიქრობდი დაეზარებოდათ. დედა ენის დღესთან დაკავშირებულმა ღონისძიებამაც ლამაზად ჩაიარა, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მინდოდა.

მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურადაა. პრობლემები ყველგანაა, თუმცა მათი მოგვარება შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ეს დრომ და უკვე დაგროვილმა გამოცდილებამ მიჩვენა. მთავარი პრობლემა, რაღა თქმა უნდა, გრამატიკაა. ცხადია, მსგავსი პრობლემა თავს იჩენდა, ვინაიდან ქართული ენის გრამატიკა საყოველთაოდ ცნობილია თავისი სირთულით. ბავშვებს განსაკუთრებით ზმნების დროებში გადაყვანა უჭირთ. ასევე უჭირთ სპეციფიკური ბგერების წარმოთქმა. ამ მხრივ, თავს არ ვიზოგავ, მაგრამ მაინც ბევრი სამუშაოა. ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენე, რომ შედეგი დამენახა და ვხედავ კიდეც. ბავშვების სიყვარული ქართული ენისადმი აშკარად თვალში საცემია (რა თქმა უნდა, ყველა არ იგულისხმება). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა. ადგილობრივი ქართული ენის მასწავლებლებისა და ჩემი ძალისხმევით მივაღწიეთ ამ შედეგებს.

დასაწყისში ვთქვი, რომ მასწავლებლობა მარტივი არ არის. ბოლოს კი იმას ვიტყვი, რომ ურთულესი პროფესიაა. მთავარია, გიყვარდეს შენი საქმე, გიყვარდეს ბავშვები და გქონდეს მათთან ურთიერთობის ხალისი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი სითბოთი და სიყვარულით სავსე თვალები გაძლევენ მეტის გაკეთების სტიმულს. არანაკლებს სწავლობ მათგან, ვიდრე შენ გასცემ.

**რიტიკო შუბითიძე**
*ნინოწმინდის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის საჯარო სკოლა*

ლიტერატურული კონკურსი

# კარგ წიგნს ის წერს, ვინც ბევრ წიგნს კითხულობს

**ანა ფირცხალაიშვილი**

ძველი თბილისის ერთ პატარა, ლამაზ, ახლად გაცოცხლებულ ქუჩაზე, ჩახრუხაძის 17-ში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი მდებარეობს. ეს მისამართი კარგად იციან ლიტერატურის მოყვარულმა ყველა თაობის წარმომადგენლებმა და არა მხოლოდ მათ – აქ სისტემატურად ეწყობა გამოფენები, შეხვედრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საინტერესო შემოქმედ ადამიანებთან, თემატური საღამოები. ერთი სიტყვით, ეს არ არის მუზეუმი ძველი, ტრადიციული გაგებით, აქ ცოცხალი, მრავალმხრივი დატვირთვის მქონე სასიამოვნო გარემოა, რომლის შექმნა და შენარჩუნება მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ **ნანა ელიზბარაშვილის** და მისი თითოეული თანამშრომლის დიდი წვლილის შედეგია.

15 მაისს მუზეუმში გამართული ღონისძიება მისი ერთ-ერთი წარმატებული და ტრადიციად ქცეული ლიტერატურული კონკურსის – „მცირე პროზა" გამარჯვებულთა დაჯილდოებას მიეძღვნა. დარბაზი და დერეფნები მალე შეივსო მონაწილეებითა და მათი გულშემატკივრებით. შეკრებილ საზოგადოებას ქალბატონმა ნანამ მიმართა: *„ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის – „მცირე პროზა" – წელს მეშვიდედ იმართება და უფრო და უფრო მეტ ახალგაზრდას იზიდავს. თავიდან ეს პროექტი იმიტომ დავიწყეთ, რომ შევამჩნიეთ, რა ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები, იქმნებოდა კლუბები, პროზა კი თითქოს აღარავის აინტერესებდა. გადავწყვიტეთ, ამ მიმართულებით გვემუშავა, რათა მცირე წვლილი მაინც შეგვეტანა თანამედროვე პროზის განვითარებაში. ამისათვის კონკურსის ფორმა ავირჩიეთ და ახლა უკვე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სწორადაც მოვიქეცით. ჩვენი მოთხოვნა მცირე ზომის პროზაა – ესე, მოთხრობა, ჩანახატი, ნოველა. ბოლო წლებში საკმაოდ საინტერესო პუბლიცისტური ტექსტებიც შემოვიდა, ჩვენ ისინი მუზეუმის მიერ გამოცემულ კრებულში დავბეჭდეთ. წელს კი კონკურსის ერთ-ერთ ნომინაციად შევიტანეთ. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები ცნობილ გამოცემებში – „ლიტერატურული პალიტრა და „ჩვენი მწერლობა" – იბეჭდება.*

*საპრიზო ადგილები, როგორც წესი, უცვლელია, ხოლო, რაც შეეხება ნომინაციებს, იმის მიხედვით მერყეობს, რამდენი საკონკურსო ნაშრომიც მოეწონება ჟიურის. შარშან 5 ნომინაციაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, წელს – 9-ში.*

*ვულოცავ კონკურსის გამარჯვებულებს და მადლობას ვუხდი ყველა მონაწილესა და მხარდამჭერს: თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრს, მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს, ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქალაქო ბიბლიოთეკას, მელვინეობა „ხარებას" და სარეკლამო კომპანია „მაქსპროჯგუფს".*

მოწვეულ სტუმრებს შორის, ახალგაზრდების საყვარელი მწერალი **დათო ტურაშვილიც** იყო, რომლის აზრითაც ახალგაზრდებს, რომელთაც უყვართ ლიტერატურა, აქვთ წერის მოთხოვნილება, თანადგომა სჭირდებათ. ამიტომაცაა მუზეუმის გადაწყვეტილება მისასალმებელი. *„კარგია, რომ გაჩნდა საკუთარი ნიჭის, შემოქმედების გამომზეურებისა და შეფასების შესაძლებლობა. კონკურსი ამის საუკეთესო საშუალებაა. კარგია, რომ წერთ, მაგრამ აუცილებელია ბევრი კითხვა, რადგან კარგ წიგნს ის წერს, ვინც ბევრ წიგნს კითხულობს".*

გამარჯვებულთა გამოცხადებამდე ჟიურის წევრებმაც ისაუბრეს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ნინელი სხირტლაძემ** აღნიშნა, რომ წლითი წლობით იზრდება მონაწილეთა რაოდენობა, თვალშისაცემია ჟანრობრივი მრავალფეროვნება, მხატვრული ხერხების გამოყენება და ლექსიკის სიმდიდრე. *„წელს კიდევ ერთი სიახლე შევნიშნე – რამდენიმე ავტორი ნამდვილად არაქართულენოვანი იყო. მოგეხსენებათ, ჩვენთან კოდირებული ტექსტები მოდის და ამიტომ მათი ვინაობა უცნობია. თუ მათი სურვილი იქნება, მზად ვარ, კვირაში ერთხელ, 1-2 საათი მათთან ერთად ვიმუშაო, რათა დაძლიონ ზოგიერთი ენობრივი უზუსტობა, რაც ამ ტექსტებში შეინიშნება".*

ჟიურის კიდევ ერთმა წევრმა, ქალბატონმა **თამარ მამაცაშვილმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონკურსში წინა წლების გამარჯვებულები და მონაწილეებიც ერთვებიან. *„განსაკუთრებით მიხარია, როცა ნაცნობ სახელსა და გვარს წავაწყდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სტაბილურად წერენ და მუშაობენ საკუთარ თავზე. წელს გაცილებით უკეთესი ნაწარმოებები იყო. გთხოვთ, გააგრძელოთ წერა, განსაკუთრებით გამარჯვებულებმა. გმადლობთ, რომ გიყვართ ლიტერატურა, წიგნი და წერა".*



კონკურსს „მცირე პროზა" წელს 45 მონაწილე ჰყავდა. ესენი არიან ტექნიკური, სამედიცინო, თსუ, კონსერვატორიის, ილიას უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა პროფესიებს ეუფლებიან და რომელთაც ლიტერატურის სიყვარული აერთიანებთ. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, არა მარტო ჩართულობა იზრდება ყოველწლიურად, არამედ წარმოდგენილი ტექსტების ხარისხი და ჟანრობრივი მრავალფეროვნებაც. ამაზე ნომინაციებიც მეტყველებს – საუკეთესო ფსიქოლოგიური პროზა (**ოთარ ჭულუხაძე**), წარმატებული მითოლოგიური ექსპერიმენტი (**დარინა მეტრეველი**), თანაგანცდის უნარი (**მიშა ტატანაშვილი**), ფილოსოფიური ესე (**როლანდ მეთეშაშვილი**) და სხვ.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

I ადგილი – **ხატია ჭანიშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, III კურსი;

II ადგილი – **თამარ გელაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი, I კურსი;

III ადგილი – **ლიანა კუპრეიშვილი**, ილიას უნივერსიტეტი, III კურსი.

კონკურსში გამარჯვებულები ფულადი პრემიებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

სასკოლო აქტივობა

# სტუმრად ბარეთის საჯარო სკოლაში

2013 წლის სექტემბერში ბარეთის საჯარო სკოლის ქართული ენის კათედრამ დაიწყო მუშაობა პროექტზე – „დავუბრუნოთ მოსწავლე ახალგაზრდობა წიგნს". ვიფიქრეთ, რომ ეს სახელწოდება კარგად ასახავდა იმ პრობლემის არსს, რაც ჩვენ გვაწუხებდა და აწუხებს მთელ საქართველოს – წიგნიერების პრობლემა. პროექტის პირველი ნაწილის (**ლევან ბერძენიშვილის** ლექციების ციკლის „წიგნები" ჯგუფური მოსმენა, საჯარო ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობა, სპექტაკლზე დასწრება და ა.შ.) განხორციელების შემდეგ აზრი შეგვეცვალა და პროექტის გაგრძელება გადავწყვიტეთ ახალი სახელწოდებით – „დავიბრუნოთ წიგნი". პროექტების განხორციელებაში კათედრას მხარში ედგა სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ნინო წიფიანი**, ჩართული იყვნენ პედაგოგები სხვა კათედრებიდან და მოსწავლეები.

პროექტი გრძელვადიანი იყო – თითქმის თვენახევარი გაგრძელდა. მოსწავლეები ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებას ეცნობოდნენ (კომპიუტერით, ლექსების კრებულებით), ლექსებს ზეპირად სწავლობდნენ. მოკლედ, პოეზიის საღამოსთვის ემზადებოდნენ. ველოდით სტუმრებს თბილისიდან.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა, პოეტმა **ოთარ ხინიკაძემ** დახმარება გაგვიწია და ჩამოიყვანა ახალგაზრდა პოეტები – **ალექსანდრე შურღაია, სოფი მდივანბეგიშვილი, მარიამ სიჭინავა** და **გივი ნემსაძე**. ერთია, როცა კითხულობ ლექსს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ავტორის წაკითხულს ისმენ.

შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ნავარაუდებზე მეტხანს, ხუთი საათი, გაგრძელდა. ღონისძიების პირველ ნაწილში პედაგოგმა და მოსწავლეებმა ისაუბრეს როგორც ზოგადად პოეზიაზე, ასევე სტუმარ პოეტთა შემოქმედებაზე, წაიკითხეს მათი ლექსები. მეორე ნაწილი სტუმრებს დაეთმო – საკუთარ ლექსებს ისეთი გრძნობითა და აზარტით კითხულობდნენ, რომ მოსწავლეებს უნდოდათ, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს საღამო.

მესამე ნაწილში დამსწრე საზოგადოებამ კითხვები დაუსვა პოეტებს და ისინიც გულწრფელად პასუხობდნენ. არც ერთი კითხვა არ დარჩენილა პასუხგაუცემელი. საღამო დასრულდა, გვეძნელებოდა სტუმრებთან დაშორება.

**ოთარ ხინიკაძე**, პოეტი: *დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბარეთის საჯარო სკოლას და მის ხელმძღვანელობას – წარმოუდგენელი და დაუვიწყარი დღე გვაჩუქეს მე და ჩემს მეგობრებს. ის სითბო, რომელიც სკოლის მოსწავლეებისაგან და დამსწრე საზოგადოებისაგან მივიღე, გულს მალამოდ ედება და ამ რთულ, ყოველდღიურ ცხოვრებას ალამაზებს. მე ვიგრძენი, რომ სწორედ ქართული სიტყვის ძალა და ის საზოგადოება გადაარჩენს საქართველოს, რომელიც ხარბად დაეწაფა ჩვენს ლექსებს, ზოგადად პოეზიას და თითოეული ლექსი საკუთარ სულის ნაწილად აღიქვა.*

**ალექსანდრე შურღაია**, პოეტი: *წარუშლელი კვალი და შთაბეჭდილება დატოვა წალკის ახალგაზრდების დამოკიდებულებამ ჩემდამი და ზოგადად პოეზიისადმი. თბილი გარემო და ანთებული თვალები – ეს ის ორი სიტყვაა, რომელიც სრულად ასახავს ამ საღამოს განვითარებულ მოვლენებს. ულრმესი მადლობა თბილი დახვედრისათვის. უპრიანი იქნება მსგავსი შეხვედრების გაგრძელება.*



**ანა ფირცხელიანი**, XII კლასის მოსწავლე: *ეს დღე სამუდამოდ ჩამრჩება მეხსიერებაში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. პოეტებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. მათთან შეხვედრამ კიდევ უფრო შემაყვარა პოეზია, პროზა, ხელოვნება და ყველა ის ღირებულება, რაც ადამიანისათვის ფასეულია. მადლობა მათ ამ მშვენიერი საღამოსთვის. მადლობა ყველა ორგანიზატორს და მხარდამჭერს, განსაკუთრებით ჩვენს დამრიგებელს, ქალბატონ ინეზა კორძაიას და სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო წიფიანს.*

**ნინო წიფიანი**, სკოლის დირექტორი: *XXI საუკუნეში, როდესაც სკოლებისადმი სულ სხვა მოთხოვნებია, როცა სახელმწიფოს დაკვეთაა, რომ სკოლამ ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქე გაზარდოს, სკოლის ხელმძღვანელს ბევრი მუშაობა და ძალისხმევა სჭირდება, სკოლა მომავალი თაობებისათვის კონკურენტუნარიანი, კომფორტული და საინტერესო რომ გახადოს.*

*სწორედ ასეთი საღამოები დაეხმარება ახალგაზრდებს, შეიმეცნონ ქართული სიტყვის უნიკალურობა, ზოგადად პოეზიის მნიშვნელობა.*

*მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ავტორს, ქალბატონ ინეზა კორძაიას და ახალგაზრდა პოეტებს ასეთი საინტერესო საღამოსთვის.*





**ინეზა კორძაია**
*პროექტის ავტორი*

გეოგრაფია

# თეორიები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ



მანანა სეხნიაშვილი
გეოგრაფიის მასწავლებელი,
მასწავლებლის პროფესიული
განვითარების ცენტრის
გეოგრაფიის ტრენერი

დასაწყისი იხ №17

მიუხედავად იმისა, რომ ოპარინის თეორიამ ფართო აღიარება მოიპოვა, მასში მაინც არის გადაუჭრელი პრობლემა – რთული ორგანული ნივთიერებებიდან მარტივ ცოცხალ ორგანიზმებზე გადასვლა. კერძოდ კი, იგი სრულყოფილად ვერ ხსნის, თუ როგორ გაუჩნდათ ცოცხალ სისტემებს თავისივე მსგავსის წარმოქმნის უნარი. ამ ასპექტში, ბიოქიმიური ევოლუცია გვთავაზობს საერთო სქემას, რომელსაც ბიოლოგების უმრავლესობა იზიარებს.

ოპარინი მიიჩნევდა, რომ არაცოცხალიდან ცოცხალზე გადასვლისას გადამწყვეტი როლი ცილებს ეკუთვნის. ცილის მოლეკულის ამორფულობის გამო, მას შეუძლია კოლოიდური ჰიდროფილური კომპლექსების წარმოქმნა, იზიდავს რა თავისკენ გარშემორტყმულ წყლის მოლეკულებს. ამ კომპლექსებს შეუძლია გამოეყოს გარემომცველი წყლის მასას და წარმოქმნას ემულსია (უფრო კონცენტრირებული ხსნარი). ასეთი კომპლექსების ერთმანეთთან შერწყმა იწვევს წყლიდან კოლოიდების გამოყოფას, ამ პროცესს **კოაცერვაცია** ეწოდება. კოლოიდებით მდიდარ კოაცერვატებს შეუძლია გარემომცველი ხსნარიდან სხვადასხვა ნივთიერებები შთანთქას. სავარაუდოდ, კოაცერვატის შედგენილობა დამოკიდებული იყო გარემოს შედგენილობაზე. „ბულიონის“ სხვადასხვაგვარობა სხვადასხვა ადგილებზე იწვევდა კოაცერვატების განსხვავებულ ქიმიურ შედგენილობას და ამგვარად იძლეოდა მასალას “ბიოქიმიური ბუნებრივი გადარჩევისათვის”.

ამრიგად, **დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის გზაზე მეორე ნაბიჯი იყო ორგანული ნივთიერებების კონცენტრირების პროცესი.**

ფიქრობენ, რომ კოაცერვატებში შემავალ ნივთიერებებს შორის ქიმიური რეაქციები ხდებოდა და, ამავე დროს, კოაცერვატები შთანთქავდა მეტალების იონებს და წარმოიქმნებოდა ფერმენტები – კოაცერვატებისა და გარემოს საზღვარზე ლიპიდების მოლეკულები, რამაც პრიმიტიული უჯრედული მემბრანა წარმოქმნა. იგი უზრუნველყოფდა კოაცერვატის სტაბილურობას. შემდგომში კოაცერვატში მარტივი პოლინუკლეოტიდების, მოლეკულების, რომელთაც თვითწარმოქმნის უნარი ჰქონდათ, ჩართვას და ლიპიდური გარსის გარდაქმნას შეეძლო პრიმიტიული უჯრედის წარმოშობა.

ამრიგად, **სიცოცხლის წარმოშობის გზაზე მესამე მნიშვნელოვანი საფეხური იყო ისეთი მოლეკულების წარმოქმნა, რომელთაც თვითწარმოქმნის უნარი ჰქონდათ.**

კოაცერვატების ზომის მატება და მათი ფრაგმენტაცია, შესაძლოა, წარმოქმნიდა მსგავს კოაცერვატებს, რომელთაც შეეძლოთ შთაენთქათ გარემოს კომპონენტები და ეს პროცესი გაგრძელებულიყო. მოვლენების ასეთ თანმიმდევრობას უნდა გამოეწვია პრიმიტიული თვითწარმომქმნელი ჰეტეროტროფული ორგანიზმის წარმოქმნა, რომელიც პირველადი „ბულიონის“ ორგანული ნივთიერებებით იკვებებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჰიპოთეზას ბევრი მეცნიერი იზიარებს, ასტრონომმა **ხოილმ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სიცოცხლის წარმოშობა მოლეკულების შემთხვევითი ურთიერთქმედების შედეგად, ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც იმის მტკიცება, რომ ბოინგ 747 ნაგავსაყრელზე გადავლილი ქარიშხლის შედეგად აიწყოს.

**ყველაზე პირველი ორგანიზმების ბუნება.** არსებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ პირველყოფილი ორგანიზმები, კვების ტიპის მიხედვით, ჰეტეროტროფები იყვნენ, რადგან იყენებდნენ „პირველადი ბულიონის“ ორგანულ ნივთიერებებს, მაგრამ გამრავლებასთან ერთად ორგანული ნივთიერებების მარაგი თანდათან ილეოდა. დაიწყო ბრძოლა საკვებისათვის, რომელშიც იმარჯვებდა სასარგებლო მემკვიდრული ცვალებადობის მქონე. გადარჩევის გზით მტკიცდებოდა ეს შეძენილი ნიშან-თვისებები. როგორც ჩანს, ისტორიული განვითარების პროცესში პირველადი ორგანიზმები თანამედროვე უჯრედებად გადაიქცა. ვირუსებში ნუკლეინის მჟავას გარშემო წარმოიქმნა დამცავი გარსი, ხოლო ბირთვის ირგვლივ – ციტოპლაზმის შრე, უჯრედს განუვითარდა გარე მემბრანა და ა.შ.

სიცოცხლის ევოლუციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო **ავტოტროფული კვების** წარმოშობა. ზოგიერთ ორგანიზმს გაუჩნდა გარემოს არაორგანული ნივთიერებებისაგან ორგანული ნაერთების სინთეზის უნარი. ასეთი სინთეზისათვის საჭირო ენერგიას ზოგიერთი ორგანიზმი ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების შედეგად იღებდა. ასე წარმოიშვა **ქემოსინთეზი.** დიდი პროგრესი იყო **ფოტოსინთეზის** წარმოშობა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა სიცოცხლის შემდგომ ევოლუციაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმჟამინდელ დედამიწაზე არ იყო თავისუფალი ჟანგბადი, ამიტომ თავდაპირველი ორგანიზმები ენერგიას ორგანულ ნივთიერებათა უჟანგბადო დაჟანგვის გზით იღებდნენ. ენერგიის მიღების ეს გზა ნაკლებეფექტურია და საკვების დიდ რაოდენობას მოითხოვს. ფოტოსინთეზის შედეგად, წყალსა და ატმოსფეროში თავისუფალი ჟანგბადის გაჩენის შედეგად, წარმოიქმნა ენერგიის მიღების ახალი გზა – ჟანგბადიანი დაშლის გზა, რომელიც უჟანგბადოზე 20-ჯერ უფრო ეფექტურია.

სიცოცხლის წარმოშობის პერიოდში დედამიწა განიცდიდა მზის გამოსხივების ინტენსიურ ზემოქმედებას, რომელიც დამღუპველად მოქმედებს ყოველივე ცოცხალზე, ამიტომ სიცოცხლე პირველად მხოლოდ ოკეანეში იყო შესაძლებელი. მცენარეთა განვითარებასთან ერთად ატმოსფეროში გროვდებოდა ჟანგბადი. მზის გამოსხივების შედეგად ჟანგბადის ნაწილი ოზონად გადაიქცეოდა, რომელიც ულტრაიისფერ და მაიონიზირებელ გამოსხივებას შთანთქავდა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა სიცოცხლის ხმელეთზე გადმოსვლა.

## კითხვები განსჯისათვის:

1. როგორ შეიძლება მოვსპოთ კონკრეტული რომელიმე პარაზიტი, გადარჩევის ზეწოლის გათვალისწინებით?

პასუხი: ავიღოთ ღვიძლის ორპირა (Fasciola hepatica), პარაზიტი, რომელიც აავადებს ცხვრებს, მას ჰყავს შუალედური მასპინძელი მცირე ტბორულა (Limnaea truncutula), იგი ბინადრობს მტკნარ წყლებსა და ნესტიან მდელოებზე. გუბურებისა და მდელოების გაშრობა გამოიწვევს გარემოს შეცვლას და, შესაბამისად, გაზრდის გადარჩევის ზეწოლას, რომლის შედეგადაც მოლუსკების რიცხვი შემცირდება, რაც, თავის მხრივ, პარაზიტის შემცირებასაც გამოიწვევს.

2. რომელი მტკიცებულება ასახავს სწორად სახეობათწარმოქმნას?

a. სიმპატრული სახეობათწარმოქმნა მიდის უფრო ნელა და თანმიმდევრულად, ვიდრე ალოპატრული.
b. ორი რასის – ვაშლისა და კუნელის მატლების დივერგენცია ალოპატრული სახეობათწარმოქმნაა შეჯვარების სხვადასხვა დროის გამო.
c. კულტურული ხორბლის წარმოქმნა დაკავშირებულია პოლოპლოიდიზაციასთან. ეს სიმპატრული სახეობათწარმოქმნის მაგალითია.
d. ალოპატრული სახეობათწარმოქმნა ყოველთვის დაკავშირებულია უფრო ძლიერ მეორად რეპროდუქციულ ბარიერებზე, ვიდრე სიმპატრული.
e. დროზოფილას სხვადასხვა სახეობა სახლობს ჰავაის არქიპელაგის სხვადასხვა კუნძულზე. ეს სიმპატრული სახეობათწარმოქმნის მაგალითია.

პასუხი: c.

3. დარვინის მთიულები ადაპტური რადიაციის მშვენიერი მაგალითია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?

ადაპტური რადიაცია:

a. ეს არის გენეტიკური ცვალებადობა, რომელიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ერთი სახეობის ინდივიდებს შორის.
b. ევოლუციური პროცესია, რომლის დროსაც განსხვავებულ ეკოლოგიურ ნიშასთან შეგუებული სხვადასხვა ფორმები წარმოშობილია საერთო წინაპრისაგან.
c. ეს არის ახლონათესაური ორგანიზმების ჯგუფების უეცარი დაშორება.
d. ეს ევოლუციური პროცესია, რომელიც იწვევს განსხვავებებს ერთი და იმავე გვარის შიგნით.
e. ეს არის სახეობათა შეგუების ევოლუციური პროცესის პოლიმორფიზმის ერთ-ერთი ტიპი.

პასუხი: b.

4. სურათზე გამოსახულია დროზოფილა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მონახეთ ორგანიზმი, რომელსაც ამ მწერის ფრთების ჰომოლოგიური ორგანო აქვს



a. ბეღურას ფრთები
b. მდინარის კიბოს ლაყუჩები
c. ღამურას ფრთები
d. თევზის ზურგის ფარფლი
e. თევზის მკერდის ფარფლი
f. კოლორადოს ხოჭოს ზედა ფრთები
g. ბაყაყის კიდურები

პასუხი: f.

5. გადამუშავებული მადნის ნარჩენები შეიცავს ტოქსიკური მეტალების (სპილენძი, ტყვია) მაღალ კონცენტრაციას, ამიტომ მცენარეთა უმრავლესობა მათზე ვერ ხარობს. თუმცა გაირკვა, რომ ზოგიერთი ბალახოვანი მცენარე მიმდებარე არადაბინძურებული გარემოდან ასეთ დაბინძურებულ ნიადაგზე განსახლდა. მათ გამოუმუშავდათ გამძლეობა ამ მეტალების მიმართ. ამავე დროს, ეს მცენარეები სუფთა არეში ვეღარ იზრდებიან. რადგანაც ეს მცენარე იმტვერება ქარით, მოხდა მათი შეჯვარება შეუჩვეველი მცენარეების პოპულაციასთან. დროთა განმავლობაში ნაკლებად გამძლე მცენარეები დაბინძურებულ ტერიტორიაზე გადაშენდნენ, ასევე გადაშენდნენ გამძლე მცენარეები სუფთა გარემოზე. ეს პროცესი მიუთითებს:

a. მამოძრავებელ გადარჩევაზე.
b. ბოთლის ყელის ეფექტზე.
c. სიმპატრულ სახეობათწარმოქმნაზე.
d. დიზრუპტულ გადარჩევაზე.

პასუხი: d.

6. რა აქვთ საერთო გენთა დრეიფს და ბუნებრივ გადარჩევას?

I ორივე ევოლუციის მექანიზმია.
II ორვე შემთხვევითი პროცესია.
III ორივეს მივყავართ ადაპტაციამდე.
IV ორივე ზემოქმედებს პოპულაციის გენეტიკურ შედგენილობაზე.

a. I და II
b. I და III
c. II და III
d. I და IV

პასუხი: d.

7. ხმელეთზე ევოლუცია მიდის უფრო სწრაფად იმიტომ, რომ:

a. სიცოცხლე ჩაისახა ზღვაში.
b. გადარჩევის ზეწოლა ზღვაში მეტია და გადარჩენაც უფრო ძნელია.
c. ზღვის ქანებში უფრო მეტი ნამარხი ფორმებია ნაპოვნი.
d. ზღვაში სიცოცხლისათვის უფრო სტაბილური პირობებია.

პასუხი: d.

8. მოცემულია მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს ცხოველთა მორფოლოგიურ ევოლუციას. მიუთითეთ, რომელი მათგანია სწორი და არასწორი:

a. ევოლუცია არის მიმართულების მქონე მოვლენა, ამიტომ რთული ფორმები წარმოიქმნება მარტივიდან.
b. გენეტიკური მუტაციები ყოველთვის იწვევს მორფოლოგიურ ცვლილებებს.
c. ცხოველთა სხეულის ზომების ზრდა არ წარმოადგენს ევოლუციაში უნივერსალურ მოვლენას.
d. ორგანიზმების მორფოლოგიური ცვლილებები არ წარმოადგენს ალომეტრული ზრდის (სხეულის დიფერენცირებული ნაწილების ზრდის) შედეგს.
e. ქორდიანების სახეობები ემბრიონულ სტადიაზე უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე მოზრდილებში.
f. ორგანიზმთა ზოგიერთი ჯგუფისათვის ფილოგენეტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ მორფოლოგიური ევოლუციის მიმართულება.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| a | | |
| b | | |
| c | | |
| d | | |
| e | | |
| f | | |

პასუხი:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| a | | + |
| b | | + |
| c | + | |
| d | | + |
| e | + | |
| f | + | |

9. რატომაა აროგენეზი ფილტვით სუნთქვა ხმელეთის ხერხემლიანებში? თბილსისხლიანობა – ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში? ჩანასახის დედის ორგანიზმში განვითარება და ნერვული სისტემის განვითარება – ძუძუმწოვრებში?

პასუხი: ამ ცვლილებებმა მათ მისცა საშუალება, გაეფართოებინათ საცხოვრებელი არეალი, კერძოდ ეცხოვრათ ხმელეთზე, ამავე დროს, უკეთ შეგუებოდნენ გარემოს მუდმივად ცვლად პირობებს.

10. ევოლუციის რომელი მიმართულების შედეგად წარმოიქმნა პრიმატების ეს სახეობები?



პასუხი: ალოგენეზით.

11. რას დაასაბუთებთ იმ ფაქტებით, რომ ბაყაყი ქვირითს ყრის წყალში, ხოლო ნიანგი, მიუხედავად იმისა, რომ ბინადრობს წყალში, კვერცხებს დებს ხმელეთზე?

პასუხი: ამფიბიები წარმოიქმნა წყალში მობინადრე ცხოველებიდან, რომლებიც შემდეგ გადმოვიდნენ ხმელეთზე. ქვეწარმავლები ხმელეთის ბინადარნი არიან, ხოლო ნიანგის წინაპარი მეორედ დაუბრუნდა წყალს.

12. კიდევ სხვა რა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, რის გამოც მიკროორგანიზმები არ გამრავლდა სპალანცალის ცდებში?

პასუხი: უჟანგბადობა.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# სტუდენტი ბიბლიოთეკაში გათენებული ღამეების გარეშე ვერაფერს მიაღწევს

**– ნინო, გვიამბე შენი მოსწავლეობის პერიოდზე...**

– ვსწავლობდი თბილისში, მე-7 გიმნაზიაში (ახლანდელი 63-ე საჯარო სკოლა), ყველა საგანი თანაბრად მაინტერესებდა და, სწავლის პარალელურად, სხვადასხვა სასკოლო კონკურსებში ვმონაწილეობდი. უფროს კლასებში უკვე აღარ მაკმაყოფილებდა ის განათლება, რომელსაც საქართველოში ვიღებდი და ამიტომ სასწავლებლად უცხოეთში წასვლაზე ვფიქრობდი.

**– სასწავლებლად მიემგზავრები ოქსფორდში... რა პროგრამით გაემგზავრე?**

– ყველაფერი 2008 წლის ივლისში დაიწყო, როდესაც ოქსფორდში ერთთვიან ენის კურსებზე გავემგზავრე. იმდენად მონდომებული ვიყავი, ორ კვირაში ინგლისური ენის ბოლო საფეხურზე დამსვეს და Advanced დონის სერტიფიკატი ავიღე. როდესაც ოქსფორდულ სტუდენტურ გარემოს და სწავლების მეთოდს გავეცანი, მივხვდი, რომ ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი.

იქ ყოფნისას, სრულიად დაუგეგმავად, გადავწყვიტე დარჩენა, მოვიძიე კოლეჯებზე ინფორმაცია, ტესტირების და გასაუბრების გავლის შედეგად კი – Oxford & Cherwell Valley College-ში ჩავირიცხე, სადაც სწავლის საფასური და სწავლასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი კოლეჯმა დამიფინანსა, რაც ოქსფორდში ძალიან იშვიათი შემთხვევაა. კოლეჯში ვსწავლობდი სპეციალიზებულ საგნებს: ინგლისის სამართალი, ევროპათმცოდნეობა, უმაღლესი მათემატიკა, ინგლისური ენა და ლიტერატურა. სწავლის პერიოდში განაცხადი შევიტანე ბრიტანეთის 5 წამყვან უნივერსიტეტში, აქედან ოთხი უნივერსიტეტიდან მომივიდა მოწვევა, საბოლოოდ Oxford Brookes University-ზე შევაჩერე არჩევანი, ჩავაბარე IELTS-ის გამოცდა, უმაღლესი ქულებით დავასრულე კოლეჯის კურსი და ჩავირიცხე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ბაკალავრიატი წარმატებით დავასრულე და მაგისტრატურაზე გავაგზავნე საბუთები სხვადასხვა ქვეყნის სამ უნივერსიტეტში. სამივედან დადებითი პასუხი მომივიდა, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე ბრიუსელი ვამჯობინე. ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე, ევროპის პოლიტიკის განხრით ვსწავლობდი. სამაგისტრო ნაშრომი, რამდენიმე თვის წინ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე დავიცავი, რომელიც 2003-2013 წლებში ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავდა.

**– ნინო, გვიამბე ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტის ისტორია**

– ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტი ბრიტანეთში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია, სოციალური მეცნიერებების, სამართლის, არქიტექტურის და ბიზნესის განხრით. ცნობილი კურსდამთავრებულები დღეს ბრიტანეთის პარლამენტის წევრები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ცნობილი ბრიტანული კომპანიების მენეჯერები არიან. ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტიც ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, უმეტესობა დღეს, ევროპაში ცნობილი პოლიტიკოსი, იურისტი ან ეკონომისტია.

**– რამ განაპირობა თავის დროზე პროფესიის არჩევანი?**

– ვერ წარმომიდგენია, საქართველოში ცხოვრობდე და პოლიტიკა არ გაინტერესებდეს. როცა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია და კვლავ გრძელდება ბორდერიზაციის პროცესი. ვცხოვრობდი ისეთ ქვეყანაში, სადაც მთავრობა რევოლუციებით იცვლებოდა. სადაც იყო კრიმინალის მაღალი დონე და ა.შ. ამიტომ მიმაჩნია, რომ აუცილებელია თითოეული მოქალაქე სათანადოდ ინფორმირებული იყოს იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით და გარეთ, რათა შეეძლოს რეალობის სწორი აღქმა და გაანალიზება. ამიტომ დავინტერესდი პოლიტიკური მეცნიერებებით, რომელიც ფაქტებზე და კვლევებზე დაყრდნობით ხსნის ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენას.

**– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ... რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?**

– ორივე უნივერსიტეტში ძალიან მრავალფეროვანი, აქტუალური და საინტერესო საგნები ისწავლება. მასწავლიდნენ ისეთი პროფესორები, რომელთა წიგნებიც ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების სახელმძღვანელოებია. მყავდა პრაქტიკოსი ლექტორებიც, რომლებიც ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან, ასევე თავისი დარგის საუკეთესო ექსპერტები, რომლებსაც BBC-სა და CNN-ის ჟურნალისტები ხშირად იწვევდნენ კომენტარის გასაკეთებლად.

**– რა შეგიძლია გვითხრა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე?**

– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს ორივე ქვეყანაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ყოველ შემთხვევაში, სოციალური მეცნიერების სტუდენტი ბიბლიოთეკაში გათენებული ღამეების გარეშე ვერაფერს მიაღწევს. როცა რაღაც ახალზე ფიქრობ, აანალიზებ, აუცილებლად უნდა იცნობდე სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებს და არგუმენტებს. თემის მომზადებისას შენი აზრი არავის აინტერესებს, მთავარია, არსებულს გაუკეთო სწორი ანალიზი და თეორიული მიმდინარეობების პოლიტიკურ რეალობაზე მორგება შეგეძლოს.

**– რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ევროპამ მოგცა?**

– ვიტყოდი, რომ ევროპაში ვისწავლე დამოუკიდებლად აზროვნება. შევხვდი ძალიან მნიშვნელოვან პიროვნებებს, მოხდა ჩემი პერსონის ჩამოყალიბება. იქაური განათლების სისტემა გაძლევს საშუალებას, შეიცნო შენი თავი, გახდე უფრო შემოქმედებითი, თავდაჯერებული და ირწმუნო, რომ შეგიძლია რაღაც ახალი შექმნა, ახალი სიტყვა თქვა, რომელიც აუცილებლად იქნება მნიშვნელოვანი შემდგომი თაობებისთვის.

**– რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?**

– გამიჭირდება შედარება, რადგან საქართველოში უმაღლეს სასწავლებელში არ მისწავლია. თუმცა, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე (ვხელმძღვანელობ „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანებას“) საქართველოში განათლების მიღების ხარისხზე გარკვეული წარმოდგენა მაქვს. როგორც სტუდენტები ამბობენ, აქ სწავლების დონე საკმაოდ დაბალია. ალბათ უფრო კვალიფიციური ლექტორები უნდა მიიღონ და აუცილებელია, რომ მოთხოვნა გაიზარდოს. ლექტორებმა ისეთი დავალებები უნდა მისცენ სტუდენტებს, ბიბლიოთეკების გამოყენება რომ უწევდეთ, ამით წიგნთან მუშაობას ისწავლიან.

**– ევროპულ სასწავლებლებში ხშირად ეწყობა სამოგზაურო ტურები. სწავლის პარალელურად, ხომ არ მოგიწია რომელიმე ქვეყანაში წასვლა?**

– სასწავლო ტურები სხვა ქვეყნებში ნაკლებად ეწყობოდა, უფრო შეიძლება სხვა ქალაქებში, იმისთვის, რომ პრაქტიკული ცოდნა მიგველო. თუმცა, შარშან მოვახერხე დაფინანსების მოპოვება საზაფხულო კურსის გასავლელად ბუდაპეშტში, რითაც უფრო სპეციფიკური ცოდნა მივიღე იმ საკითხებზე, რაც კონკრეტულად მაინტერესებდა, კერძოდ – მიგრაციის პოლიტიკის კუთხით.

**– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გქონდა თუ არა მუშაობის შესაძლებლობა?**

– ნამდვილად ასეა. გარდა იმისა, რომ მუშაობის უფლება გეძლევა ნახევარ განაკვეთზე, რეალურად უნივერსიტეტიც გიწყობს ხელს, რადგან ლექციები ისეა მორგებული, რომ თავისუფლად შეგიძლია სწავლის პარალელურად იმუშაო. მუშაობის პარალელურად, სტაჟირებებსაც გავდიოდი როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, რაც გეხმარება, რეალობაში დარჩე და თეორიულ სამყაროში არ „დაიკარგო“.

თუმცა, ყველაზე კარგი ვარიანტი ალბათ ის არის, როდესაც სწავლის პროცესს ისე უდგები, თითქოს სამსახურია. მნიშვნელობა არ აქვს, იმ დღეს ლექცია გაქვს თუ არა, მთავარია, ყოველ დილას ადრე წახვიდე ბიბლიოთეკაში და საღამომდე უნივერსიტეტში იყო, ბევრი იკითხო და იმეცადინო. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი საუკეთესო თეორეტიკოსად და მკვლევარად ყალიბდება. ჩემს თავს უფრო აქტიურ პოლიტიკაში ვხედავ, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ის გამოცდილება, რომელიც სტაჟირებებით და მუშაობით მივიღე.

**– მიამბე, როგორ ცხოვრობენ ევროპელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?**

– ახალგაზრდები ჩვეულებრივ ცხოვრობენ, სწავლობენ, მუშაობენ, ემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, აქვთ ჰობი. სპორტული ცხოვრებით უფრო მეტად არიან გატაცებული, ვიდრე მათი თანატოლები საქართველოში. ამაში უნივერსიტეტები უწყობენ ხელს. მუდმივად იმართება სპორტული შეჯიბრებები უნივერსიტეტებს შორის. უნივერსიტეტი გაფასებს და გაღიარებს, როდესაც მისი სახელით გამოდიხარ ჩემპიონატებზე. რომელი დარგია ყველაზე პრიორიტეტული, ცოტა რთული სათქმელია, თუმცა, ალბათ, ყველაზე მეტი სტუდენტი იქაც სოციალურ მეცნიერებებზე, სამართალზე და ეკონომიკურ მეცნიერებებზე სწავლობს.



რუბრიკის სტუმარია ნინო შარაშიძე

**– სად და როგორ ატარებდი თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– იმდენად დატვირთული ვიყავი სწავლით და სტაჟირებებით, რომ თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩებოდა. გარდა ამისა, ორივე ქვეყანაში ქართველმა სტუდენტებმა ჩამოვაყალიბეთ ქართული სტუდენტური გაერთიანებები, რომელიც როგორც ჩამოსულ ქართველ სტუდენტს, ასევე ჩამოსვლის მსურველ სტუდენტებს ეხმარებოდა ინფორმაციის მოძიებაში, ადაპტაციის გავლაში, მნიშვნელოვანი კონტაქტების შეძენაში და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოთი დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებსაც ეხმარებოდა. ამის შემდეგ დავაარსეთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანება“, რომლის კარი ღიაა ყველა ქართველი სტუდენტისთვის თუ ქართული სტუდენტური ორგანიზაციისთვის.

**– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი არის თუ არა საქართველოში დამსაქმებლისთვის პრიორიტეტი?**

– ამ ეტაპზე ვერ ვხედავ, რომ საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში, დამსაქმებლისთვის, პრიორიტეტი იყოს. როგორც ჩანს, საქართველოს სამუშაო ბაზარზე აკმაყოფილებთ ის განათლება, რასაც საქართველოში იძლევიან, რაც ქვეყნის განვითარებისთვის კარგი ნამდვილად არ არის. მართალია, სურვილი გვაქვს, რომ ევროპული სახელმწიფო შევქმნათ, მაგრამ, იმავდროულად, ჩვენი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ევროპულისგან ძალიან შორსაა... აუცილებელია იმ კადრების გამოყენება, ვინც უცხოეთში მიიღო განათლება და გამოცდილება. ლოგიკურია, რომ სტუდენტი, რომელიც უცხოეთში წარმატებით სძლევს აკადემიურ პროგრამას, გაცილებით ძლიერი კანდიდატია, ვიდრე ის, ვინც საქართველოში, საკუთარ ქვეყანაში, მშობლიურ ენაზე ეუფლება პროფესიას. შესაბამისად, ასეთ სტუდენტებზე მოთხოვნაც მაღალი უნდა იყოს და hr-ებს პირდაპირ „ნადირობა“ უნდა ჰქონდეთ გამოცხადებული. იმედი მაქვს, მალე ასეც იქნება, რადგან არც ერთი სტუდენტი არ იმსახურებს იმას, რომ უცხოეთში მიიღოს საუკეთესო განათლება ჩადოს მთელი დრო, ენერგია, ფინანსური რესურსი და საკუთარ ქვეყანაში დაფასებული არ იყოს.

იშვიათად, მაგრამ შემხვედრია ისეთი სტუდენტიც, ვინც უცხოეთში განათლების მიღებას მხოლოდ იმიტომ ცდილობს, რომ საზღვარგარეთ უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახური ნახოს და იქ დაიმკვიდროს თავი. ყველა ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში და ნამდვილად ვერ გაამტყუნებ, თუმცა, როცა სტუდენტის მთავარი მოტივაცია ის არის, რომ მიიღოს საუკეთესო განათლება იმისთვის, რომ დაბრუნდეს და მიღებული განათლება ქვეყნის განვითარებას მოახმაროს, მას აუცილებლად უნდა მიეცეს საკუთარი თავის რეალიზების შანსი და გულაცრუებულს იძულების წესით არ უნდა მოუწიოს ქვეყნიდან გაქცევა. ასეთ შემთხვევაში, ის უცხოეთიდანაც აღარ გამოადგება საქართველოს, იქაური დიპლომით ადაპტაციას მარტივად მოახდენს და იმ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდება.

**– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად, შესაძლოა, ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევდი იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დიდი სურვილი აქვთ.**

– გეთანხმებით, საერთაშორისო განათლების სამყაროში შეიძლება დაიკარგო, იმდენად საინტერესო და მიმზიდველი ჩანს ყველა უნივერსიტეტი თუ ფაკულტეტი. ასეთ ახალგაზრდებს, პირველ რიგში, ჩვენს ორგანიზაციასთან (World Union of Georgian Students) კონსულტაციებს ვურჩევ, რაც ყველა სტუდენტისთვის უფასოა. ჩვენ ერთად შევაფასებთ უნივერსიტეტის მოთხოვნებსა თუ სტუდენტის განათლების დონეს, რათა დავადგინოთ ამ ორის ერთმანეთთან შესაბამისობა, სტუდენტს ვურჩევთ მისთვის ყველაზე კარგ ვარიანტს, სადაც აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

**– დაბოლოს, საზღვარგარეთ ცხოვრება ადამიანს ალბათ ბევრ რამეზე აფიქრებს, შორიდან უკეთესია ჩვენი ქვეყანა, ვიდრე სინამდვილეშია?**

– შორიდან ბევრს ფიქრობ შენს ქვეყანაზე, ცდილობ პარალელების გავლებას. უცხოეთში ყველაფერი უფრო მოწესრიგებული და დალაგებულია, არ აწუხებთ ის პრობლემები, რაც საქართველოში გვაწუხებს. ვერ ვიტყვი, რომ უკეთესი ჩანს, ალბათ ისეთი ჩანს როგორიც არის, უბრალოდ უფრო მეტად აფასებ იმას, რაც გაქვს და გული გწყდება იმაზე, რაც არ არის. გინდა ის, რასაც უცხოეთში ხედავ და მოგწონს, საქართველოშიც დანერგო. თუმცა ემიგრანტების შესახებ უამრავი ცრურწმენა დაგროვდა ჩვენს საზოგადოებაში და მათ არავინ უსმენს. კარგი იქნება, თუ შესაბამისი ორგანოები ამ საკითხის მოგვარებაზეც დაიწყებენ ზრუნვას.

*ესაუბრა*
მაკა ყიფიანი

ახალი

# ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის

ოცი წელი გავიდა... ისევ დავეძებთ კუთხე-კუთხე, ენგურს გაღმა თუ გამოღმა... დავეძებთ მთელ ქვეყანაზე... დავეძებთ სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე, მაგრამ მისი კარიბჭენი ჩვენთვის ისევ ჩარაზულია... „შენი გული ისევ ჩვენში ფეთქავს აფხაზეთო“, რადგან, „სხვა გზა, სხვა ხსნა, სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არ გამაჩნია“.

ხარაგაულში, საატესტატო გამოცდებზე ჩასულმა ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლთა საინტერესო სახეები ვიხილე. მათ შორისაა №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი **ვალერი გოგნაძე** –აფხაზეთის ომის მონაწილე. მან იქ ნანახი და განცდილი პოეზიაში გადაიტანა, აფხაზეთი უკვდავყო და მომავალ თაობებს – „მამულის გულის დვრიტასა და ლხენას“ – მისცა მაგალითი, თუ როგორ უნდა უყვარდეთ სამშობლო.

დიდი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ხარაგაული ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლთა მხარეა, სადაც დიდი და პატარა სულდგმულობს იმ გრძნობით, რომ „აფხაზეთი ულამაზესი, დედა სამშობლოს დაუბრუნდება“, რომ აფხაზეთი საქართველის ნაწილია. ამ მიზანმა შთაგვაგონა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და კინოცენტრ „აფხაზეთს“, ხარაგაულის №2 საჯარო სკოლასთან ერთად, გაგვეხორციელებინა პროექტი, რომლითაც ხარაგაულელი და აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები საფუძველს ჩაუყრიდნენ ერთიანი საქართველოს მომავალ სიძლიერეს.

ასე დაიბადა ხარაგაულში ერთობლივი პროექტის იდეა.

პროექტის პირველ ეტაპზე ხარაგაულელმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **მედიკო კვარაცხელია** და სამინისტროს წარმომადგენლები – **ლეილა თორია** და **ლეილა ბაღბაია,** პროექტის ფარგლებში, მიგვიწვიეს ღონისძიებაზე „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“.

ხარაგაულში, პირველ რიგში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დავათვალიერეთ, რომელმაც სრული წარმოდგენა შეგვიქმნა ხარაგაულის წარსულზე და აწმყოზე, მის მდიდარ მემკვიდრეობაზე. გიდობა მუზეუმის თანამშრომელმა **ეთერ ვეფხვაძემ** გაგვიწია. მან საინტერესოდ წარმოგვიჩინა რაიონის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, მატერიალური და სახალხო მეურნეობის ამსახველი მასალები.

მუსიკალურ სკოლაში ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა... აქ ჩვენ აფხაზეთი ვიხილეთ. ვიხილეთ თაობა, რომლისთვისაც ერთიანი საქართველოა უპირველესი. მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგა ჩვენი მშობლიური კუთხე, უნიკალური ისტორიითა და ეროვნულ-კულტურული ფასეულობებით. კომპოზიციურად შეკრული სლაიდშოუ, გამოფენა, ლექსი, სიმღერა და გამომსვლელების ყოველი სიტყვა მიმართული აფხაზეთისადმი, ჩვენში ბადებდა იმედს, რომ აფხაზეთი არ დაიკარგება, რომ ხვალ ეს თაობა მას დაიბრუნებს.

**ვალერი გოგნაძე:** *„განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აფხაზეთის თემას, რადგან უფლება არა გვაქვს მომავალ თაობას დავავიწყოთ ის, რაც მოხდა. მათ უნდა იცოდნენ, რომ დროებით ოკუპირებული აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, საქართველოს ძლიერება კი ერთიანობაშია. პროექტის პირველ ეტაპზე გადავწყვიტეთ, მოსწავლეები გაცნობოდნენ ისტორიულ მასალებს აფხაზეთზე, მის კულტურულ მემკვიდრეობას, ფლორასა და ფაუნას, ეთნოგრაფიას, რომ უკეთ გაეთავისებინათ მათთვის უცნობი, მაგრამ მშობლიური კუთხე“.*

**მედიკო კვარაცხელია:** *„პირველ რიგში, მინდა გადმოგცეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის, ბატონ **დიმიტრი ჯაიანის** მადლობა აფხაზეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. ის დარწმუნებულია, რომ სკოლების დამეგობრება უდიდესი სამსახურია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის. ეს სჭირდება მომავალ თაობებს, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.*

*აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, მეამაყება, რომ მოსწავლეები ჩვენს აფხაზეთზე ასეთი სითბოთი და სიყვარულით ყვებიან. სიამაყე, ცრემლი, ტკივილი და მონატრება ერთმანეთში აგვერია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მომავალი თანამშრომლობისათვის“.*

**ლეილა ბაღბაია:** *„ლამაზად გაფორმებულ დარბაზში ჩემი ყურადღება მინი-გამოფენამ მიიპყრო, მოსწავლეების მიერ გაკეთებულ თვალსაჩინოებებში გაცოცხლდა აფხაზური ფაცხა, ოჯახი, სამზარეულო, ტრადიციები, ფლორა, ფაუნა... ლამაზად გაფორმებულმა კედლის გაზეთმა, „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“ გადმოსცა ხარაგაულელი მოსწავლეების ფიქრი და ოცნება აფხაზეთზე, მის ხვალინდელ დღეზე. დიდი მადლობა მათ, ასევე მათ პედაგოგებს“.*

**ლეილა თორია:** *„მოსწავლეებს ეტყობოდათ საუკეთესო პედაგოგების ხელი. ისინი გაეცნენ მასალებს აფხაზეთზე. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეებთან შეხვედრისათვის მათ მტკიცე საფუძველი აქვთ ჩაყრილი. ბევრი ექნებათ მოსაყოლი თანატოლებისთვის“.*

**კობა ლურსმანაშვილი,** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, აფხაზეთის ომის მონაწილე: *„შთამბეჭდავი და ემოციური დღეა. ხარაგაულელებისათვის უპირველესი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაა. მოსწავლეებსაც ამ სულისკვეთებით ვზრდით. სათუთად ვუვლით და გულში ვინახავთ იმ 22 დიდებული მამულიშვილის ხსოვნას, ვინც თავი გასწირა აფხაზეთისა და სამაჩაბლოსათვის. მათ სადიდებლად შინმოუსვლელთა მემორიალი აღიმართა, როგორც სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა. ვამაყობ სკოლით, რომელმაც ამ ღონისძიებით თქვა სათქმელი – საკუთარი შესაძლებლობები ახალგაზრდების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღზრდას მოახმარონ“.*

**დავით კიკნაძე,** ხარაგაულის რესურსცენტრის ხელმძღვანელი: *„საუკეთესო ინიციატივებით გამორჩეულ №2 საჯარო სკოლაში საფუძველი ჩაეყარა იდეას, რომლითაც ხარაგაულელი და აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეები, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, მოუწოდებენ საქართველოს სხვა სკოლებს, არ დაავიწყდეთ აფხაზეთი, დღეს საქართველოსგან მოგლეჯილი. ერთიანი და ძლიერი საქართველო გარანტია მათი საუკეთესო მომავლისა. მივესალმები ინიციატივას და მინდა საქართველოს ახალგაზრდობას ახსოვდეს აფხაზეთი, რომ ყველაფერი ვიღონოთ მის დასაბრუნებლად“.*

**ირინე ჩხეიძე,** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი: *„ხარაგაულელმა მოსწავლეებმა პრეზენტაციაზე შესანიშნავად წარმოაჩინეს ქართულ-აფხაზური სახელმწიფოებრივი და კულტურული ურთიერთობების ისტორია. ხარაგაული ის მხარეა, რომელსაც აფხაზეთის ომში დაღუპული 22 ვაჟკაცი ჰყავს. მივესალმები ურთიერთობებს, რომელსაც აქ ჩაეყარა საფუძველი. პროექტი, ჩემი აზრით, უდიდესი მნიშვნელობისაა ახალგაზრდებისათვის“.*

**მარინა მაღრაძე,** ღონისძიების ორგანიზატორი: *„დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ პროექტს. მოსწავლეები – ნათია ტაბატაძე, ნათია კიკნაძე, მარიამ მაღლაფერიძე, მადონა შველიძე, კესო შარიქაძე, ანი და მარი აბაშიძეები, გიორგი ბუხნიკაშვილი, სალომე ბერაძე, სოფო კვაშილავა, თამარ ჭიპაშვილი, გიორგი ჯღარკავა, ანი და ნანა ჭიპაშვილები, ნანა გლუნჩაძე, აკაკი კიკნაძე, გოგა აბაშიძე, დათო ხარაძე – დიდი მონდომებით ჩაერთნენ პროექტში და მეტი მნიშვნელობა შესძინეს მას. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა რუსუდან თაბაგარმა. პროექტი ზუგდიდში გაგრძელდება“.*

ღონისძიების დასასრულს ქალბატონმა მედიკო კვარაცხელიამ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა პროექტის მონაწილეებს.

პროექტის მეორე ეტაპი ზუგდიდში, 5 მაისს დაიგეგმა.

პროექტი გაფართოვდა. 2014 წლის 5 მაისს ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ლუიზა შონია**) სტუმრებს დილიდან ღებულობდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, №2 საჯარო სკოლის დირექტორი, პროექტის ორგანიზატორები და მოსწავლეები, ზუგდიდის რესურსცენტრის ხელმძღვანელი **გონერი პაპავა**. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სტუმრებმა გამოფენა დაათვალიერეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა იმ 22 ვაჟკაცის სურათი, რომლებიც საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შეეწირნენ აფხაზეთში. დაიწყო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები. დამეგობრებული სკოლების მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აფხაზეთის სიყვარულში.

**ლუიზა შონია,** სკოლის დირექტორი: *„გვიხარია, რომ ხარაგაულელი მოსწავლეები ტოლს არ გვიდებენ აფხაზეთის სიყვარულში. იმედი მაქვს, მემორანდუმი, რომელსაც ღონისძიების დამთავრებისას მოეწერება ხელი, ურთიერთთანამშრომლობის მყარი გარანტი იქნება“.* ქალბატონმა ლუიზამ პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის მადლობა გადაუხადა ღონისძიების ხელმძღვანელს, **ინგა ვახანიას** და მოსწავლეებს: **ნათია ბულიას, ნათია ძიძიგურს, ქრისტინე ლუკავას, გიორგი შამუგიას, მიშიკო ცობეხიას, ანა ჭანტურიას, ლადო კილასონიას, ლიზი პაჭკორიას, ქეთი ოთხოზორიას, გიორგი ჯობავას, თეკლე ჭეჟიას, ნათია ჯალაღონიას, ანა ბენიას, ანა ელიავასა** და **სოფიკო მოლაშხიას**.

**დიმიტრი ჯაიანი,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი: *„აფხაზეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესება თითოეული ქართველის უპირველესი ვალია. ყველას უნდა ახსოვდეს აფხაზეთი. დიდი მადლობა თქვენ. გაოცებული ვარ ხარაგაულელი და აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეების მსახიობური მონაცემებით. მოდის თაობა, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“.*

**ბელა კოპალიანი,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, განათლების ექსპერტი: *„პროექტის ორგანიზატორებს დიდ მადლობს ვუხდი საინტერესო ღონისძიებისათვის. მადლობა ხარაგაულელ სტუმრებს, პირადად ბატონ ვალერი გოგნაძესა და დავით კიკნაძეს აფხაზეთის ტკივილის გულთან მიტანისათვის, ჩვენ ერთი სატკივარი გვაერთიანებს – დაკარგული აფხაზეთი. მჯერა, რომ ერთად ვიბრძოლებთ ერთიანი საქართველოსთვის“.*

პროექტის პირველი ნაწილის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის №1 და №11 საჯარო სკოლების მოსწავლეები, ხარაგაულელ მეგობრებთან ერთად, გაემართნენ ენგურის ხიდზე, სადაც, მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნად, მტრედები ააფრინეს, მხატვრული ღონისძიების შემდეგ კი ფრანი აუშვეს. მან გეზი აფხაზეთისკენ აიღო... თვალზე ცრემლმორეულმა პროექტის მონაწილეებმა ანთებული სანთლებით ხელში ილოცეს იქ დაბრუნებისათვის.

აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის საქმისადმი ახლებურმა მიდგომებმა ახალი შესაძლებლობები წარმოშვა. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი კომბინატის კულტურის ცენტრში გაგრძელდა. პროექტის – „კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი თემის ინტეგრაცია საქართველოში და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია საქართველოს საჯარო სკოლებში“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ზუგდიდში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასთან. შეხვედაზე, რომელშიც ჩაერთნენ დევნილი თემი, მოსწავლეები და მასწავლებლები აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან, ყურადღება გამახვილდა დევნილი მოსახლეობისათვის აუცილებელ და საჭირო საკითხებზე.

ღონისძიებას უძღვებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **ბელა კოპალიანი.** ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, ბატონი **დიმიტრი ჯაიანი, ვალერი გოგნაძე, დავით კიკნაძე** და სხვ. შეხვედრას 500-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. ღონისძიების პარალელურად, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, დარიგებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“, ორგანიზაცია „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ მიერ გამოცემული საგანმანათლებლო საინფორმაციო მასალები.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ ახალგაზრდული ალიანსის წევრები: **სალომე კილანავა, ხათუნა შონია, გვანცა კრაწაშვილი, ვაჟა კოკაია, ვერიკო კვარაცხელია.** ღონისძიების ფარგლებში ტრიო „ბრავომ“ დევნილ საზოგადოებას არაჩვეულებრივი საღამო აჩუქა, ასევე შედგა ქალბატონ **ია მაისაიას** კლიპის „აფხაზეთო, საქართველოს მშვენებავ“ პრეზენტაცია.

ხელი მოეწერა მემორანდუმს ხარაგაულის №2 საჯარო სკოლასა და აფხაზეთის №1 საჯარო სკოლას შორის. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა **მირიან ხოსიტაშვილმა** დევნილ და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

ღონისძიების დასასრულს, ქალბატონმა **ბელა კოპალიანმა** მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ასევე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის თანაშემწეს **რამინ საჯაიას**, აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში – **ოთარ გოგოხიას, მედეა აბლოთიას, გელა კილასონიას, ზაალ ელიავას, რამაზ ჯოლოგუას, ბიძინა გამისონიას** და ყველა იმ თანამშრომელს, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის წარმატებით განხორციელებაში.





მედეა ზუხბაია

გამოცდილება

# რუსული ენის დღეები სკოლაში

ქართულ სკოლებში კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმა რუსული ენის დღეების მომზადება და ჩატარებაა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის ათვისებისა და რუსული ენის დაუფლების აქტივიზაციის პროცესს. მსგავსი დღეების ჩატარების მიზანია მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება, რუსულ ენაში კითხვის ტექნიკის განვითარება და ამ ენის მატარებელი ადამიანების კულტურასთან და ტრადიციებთან მიახლოება. მოსწავლეებს უვითარდებათ არა მარტო საგნისადმი ინტერესი, არამედ უჩნდებათ დამატებით ლიტერატურასთან, სხვადასხვა სახის ლექსიკონებთან, ცნობარებთან, პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

რუსული ენის დღეების ჩატარების ამოცანაა: ღონისძიებებში სხვადასხვა კლასების მოსწავლეების (VII-VIII) ჩართვა; სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება; რუსული ენის უფრო ღრმად შესწავლის ინტერესის გაჩენა, მათი თვალსაწიერის გაფართოება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

გარდა ამისა, რუსული ენის დღეების ჩატარება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის პიროვნულ თავისებურებებზე – ისინი თვითრეალიზაციისკენ ისწრაფვიან; უყალიბდებათ დაგეგმარებისა და თვითკონტროლის უნარი; ავლენენ ინტელექტუალურ უნარებს; ხალისით ერთვებიან შეჯიბრებებში და იძენენ ახალ მეგობრებს.

მინდა შემოგთავაზოთ რუსული ენის დღეების მომზადებისა და ჩატარების ერთი ნიმუში, რომლის შედგენაში თავად მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტი განვიხილეთ და დავამტკიცეთ კათედრის სხდომაზე /VII-XII კლასი/. მისი შედგენისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

– დავალებების შესაბამისობა შესწავლილ პროგრამულ მასალასთან;

– შერჩეული დავალებების რაოდენობა;

– ისეთი დავალებების მიწოდება, რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვდა შემოქმედებითობას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

პრაქტიკული დავალებები მოსამზადებელ დროს მოითხოვდა, ამიტომ მათი შესრულება შეიძლებოდა სახლში, მითითებულ დროში.

**დევიზი** – *ჩვენ ვცდილობთ რუსულად ლაპარაკს.*

**გეგმა:**

*პირველი დღე*

რუსული ენის დღეების გახსნა:

– მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა;

– მათ ნახატებსა და ნაკეთობებში გამოყვანილი ლიტერატურული გმირების გაცოცხლება;

– საბავშვო წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოფენა დერეფნებში, ბიბლიოთეკაში;

– კალიგრაფიის კონკურსი;

– მოსწავლეთა მიერ შექმნილი პლაკატების, ლოზუნგების გამოფენა;

– მათ მიერვე მოძიებული ცნობილი ადამიანების გამონათქვამები რუსულ ენაზე .

*მეორე დღე*

– მკითხველთა კონფერენციის ჩატარება თემაზე – კრილოვის ცხოვრება და მოღვაწეობა;

– მცირე ზომის მოთხრობებისა და ზღაპრების კითხვა;

– კრილოვის იგავები და მათი ქართული თარგმანები.

*მესამე დღე*

მოგზაურობა რუსული ენის სამყაროში:

– კლასების თემატური კედლის გაზეთების, ალბომების, ბიულეტენების დათვალიერება-კონკურსი;

– პრეზენტაციები.

*მეოთხე დღე*

მოგზაურობა ფრაზეოლოგიზმების სამყაროში:

– რატომ ვლაპარაკობთ ასე;

– ცნობილი ფრაზეოლოგიზმები კრილოვის იგავებიდან.

*მეხუთე დღე*

– მხატვრული კითხვის კონკურსი (პოეზია/ სხვადასხვა).

*მეექვსე დღე*

– კრილოვის იგავ-არაკების ინსცენირება.

*მეშვიდე დღე:*

– მხიარული კითხვები;

– ვიქტორინა თემაზე – იცი თუ არა რუსული ენა.

*მერვე დღე*

– დიალოგები სხვადასხვა თემაზე.

*მეცხრე დღე*

– საკონკურსო სიტყვიერი კარნახი.

*მეათე დღე*

– რუსული ენის დღეების საზეიმო დახურვა. ყველაზე აქტიური მოსწავლეების წახალისება დიპლომებითა და სიგელებით.

* * *

რუსული ენის დღეები საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მოსწავლეებმა თანატოლებს გააცნეს რუსული ენისა და ლიტერატურის დღეების ჩატარების პროგრამა და ყველა ის ღონისძიება, რომლებშიც მიიღებდნენ მონაწილეობას. გეგმა თვალსაჩინო ადგილას გამოაკრეს. რუსული ენისა და ლიტერატურის დღეების ფარგლებში, სკოლაში არაერთი ღონისძიება ჩატარდა: ვიქტორინები, საღამოები, ინტელექტუალური თამაშები, კონკურსები, დიალოგები სხვადასხვა თემაზე. ტრადიციულად, პირველი დღე კედლის გაზეთებისა და კალიგრაფიის კონკურსსა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას დაეთმო. მომზადდა განსხვავებული თემატიკის კედლის გაზეთები:

– ფრაზეოლოგიზმები და მათი ქართული შესატყვისები;

– ფრაზეოლოგიზმები კრილოვის იგავებიდან;

– ბიულეტენები;

– ილაპარაკე სწორად;

– წერე სწორად.

მოსწავლეებმა თავიანთი თავი მხატვრის, მკითხველის, კონკურსების წამყვანების, ჟიურის წევრების როლებში მოსინჯეს. მოიძიეს კრილოვის იგავების ქართული თარგმანები. გაიმართა კრილოვის იგავ-არაკების ინსცენირება. მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს მსახიობური ნიჭი და შესრულების მანერა. ინსცენირებას ყველა კლასი შემოქმედებითად მიუდგა. ყველაზე ორიგინალური XI კლასის მიერ წარმოდგენილი იგავი „კვარტეტი" იყო. მოეწყო პრეზენტაცია თემაზე – კრილოვის ბიოგრაფია. ასევე, მოსწავლეებმა მოიძიეს რუსული ფრაზეოლოგიზმები, მათი ისტორია და ქართული შესატყვისები, პრეზენტაციებში კვლევითი უნარ-ჩვევები აისახა.

ძალიან მხიარულად ჩაიარა მოგზაურობამ ფრაზეოლოგიზმების სამყაროში. განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო მხატვრული კითხვის კონკურსი. მოსწავლეები თვითონ ირჩევდნენ ნაწარმოებებს. თითოეულმა თავისი საყვარელი ლექსი შეარჩია, უმრავლესობამ – პუშკინის ლექსები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო X კლასის მოსწავლე **ნანა ბერულავა**, რომელმაც წაიკითხა ესენინის „წერილი დედას" და მისი ქართული ვარიანტიც მოიძია.

რაც შეეხება მოსწავლეთა მიერ შექმნილ ილუსტრაციებს, ყველაზე კარგი ნახატები წარმოადგინეს: **გიგლა ჩანგელიამ** (XI კლასი) და **ზაზა თორდიამ** (VII კლასი); კალიგრაფიის კონკურსში პირველი ადგილი ერგო IX კლასის მოსწავლეს **მარი ქუხილავას**; ყველაზე ორიგინალური კედლის გაზეთები XI-კლასელებმა წარმოადგინეს, ბიულეტენები – IX-კლასელებმა; სიტყვიერ კარნახში პირველი, მეორე და მესამე ადგილები გადაინაწილეს XII და X კლასების მოსწავლეებმა.

მეათე დღეს რუსული ენის დღეების საზეიმო დახურვა გაიმართა. დარბაზი ლამაზად იყო მორთული. ყველაზე აქტიური მოსწავლეები დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

რა თქმა უნდა, ყველა მონაწილეს ვერ ერგო პირველობა, მაგრამ, ალბათ, ეს არ არის მთავარი. მსგავსი ღონისძიებები არა მხოლოდ საქმისადმი ინტერესს იწვევს, მოსწავლეებს გამარჯვებისკენ სწრაფვასა და გუნდური სულისკვეთების გამოვლენას უვითარებს.

**ლულა ხვიჩავა**
*სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ ჩხორიის საჯარო სკოლის*
*რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*











ინფორმაცია

# საჯარო სკოლებში პროექტი „კინო სკოლაში" ხორციელდება

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს „კინო სკოლაში". პროექტი მიზნად ისახავს ფილმების, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენებას ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის; მოზარდებში კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, პროფესიონალ კინომცოდნეებთან ერთად, ნახონ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შერჩეული ფილმები, შეისწავლონ კინოსცენარის წერის თავისებურებები და თავად დაწერონ მინი-სცენარი. ფილმები შეირჩა კინომცოდნეების, განათლების ექსპერტებისა და ფსიქოლოგების მიერ. დაგეგმილია 18 ფილმის ჩვენება როგორც კინოკლასიკიდან, ასევე თანამედროვე კინემატოგრაფიიდან.

პროექტის განხორციელება 2014 წლის 17 მარტს დაიწყო და 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს დასრულდება.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საჯარო სკოლების IX-XI კლასის მოსწავლეები, რომლებიც შეირჩნენ მოზარდების ფსიქოემოციური და კოგნიტური უნარების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე, პროექტში ჩართულია 40 სკოლა (მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, აჭარა), სადაც შექმნილია კინოკლუბები. სკოლები შეირჩა მათ მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილების განხილვის შედეგად.

სკოლებში კინოკლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს 16 ფასილიტატორი, რომელთაგან თითოეული 2-4 სკოლას მოიცავს.



სასკოლო აქტივობა

# გაკვეთილი-ექსკურსია



ივანე ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის (დირექტორი – **თამრიკო ფიჩხულაშვილი**) უფროსკლასელებმა, ისტორიის მასწავლებლის, **ლეილა ამინაშვილისა** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლის, პროფესორ **მარინა ლომოურის** ერთობლივი ინიციატივით, მოაწყვეს გასვლითი გაკვეთილი-ექსკურსია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**გაკვეთილის მიზანი:** ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ გაცნობა-შესწავლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო შეხვედრა და მეგზურობა გაგვიწია პროფესორმა **ალექსანდრე მარუაშვილმა**, რომელმაც მოსწავლეებს დაათვალიერებინა უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკით დაწყებული გალერეით დამთავრებული, სადაც დაცულია ივანე ჯავახიშვილის პირადი ნივთები და ფოტოები, რომლებზეც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალებია ასახული. ბატონი ალექსანდრე დაწვრილებით ესაუბრა მოსწავლეებს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მის დიდ ღვაწლზე უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ამის შემდეგ, დიმიტრი უზნაძის კაბინეტში ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი, რომელიც უნივერსიტეტში თანამედროვე სწავლების საკითხს ეხებოდა.

ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები: **ელენე ჯაჯანიძე, თიკო პეტრიაშვილი, ბუხუტი გულბანი, ხატია აღდგომელაშვილი** და სხვ. მათ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. დიმიტრი უზნაძის კაბინეტში ჩატარებულ ლექციაზე მოსწავლეებმა თავი სტუდენტებად იგრძნეს, რის გამოც ამაყები და ბედნიერები იყვნენ.







ამ შეხვედრით გადაწყდა, რომ მარაბდის საჯარო სკოლა ჩართული იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლასთან მუშაობის სისტემატურ პროექტში – „თსუ საბავშო უნივერსიტეტი", რომლის დევიზია – ცოდნა ძალაა. პროექტის უპირველესი მიზანი მოსწავლეებში სასკოლო განათლების ხარისხის ამაღლებაა.

ამ პროექტში მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია მარაბდის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის – შეიძლება მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების კატალიზატორის როლი შეასრულოს.

*მარაბდის საჯარო სკოლის*
*უფროსკლასელები*

# ჯანსალი ცხოვრების წესი
## სადამრიგებლო საათის ერთი მიმართულება

დამრიგებელი დაწყებითი კლასის მოსწავლეების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი მიზანია ჯანსაღი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე პიროვნების აღზრდა. ყოველდღიური მუშაობის გარდა, დაწყებით საფეხურზე, კვირაში ერთხელ, დაგეგმილია სადამრიგებლო საათის ჩატარება – მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების განხილვა, საუბრები, დისკუსიები. ტარდება ვიქტორინები და სხვადასხვა თამაშები.

მე მეორე კლასის დამრიგებელი ვარ და ჩემს სადამრიგებლო კლასში ყოველკვირეულად ვატარებ სადამრიგებლო საათს. მინდა, ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ.

სადამრიგებლო საათის პროგრამაში არსებობს მიმართულება – გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომლის მიზანია მოსწავლეებისათვის პირადი ჰიგიენის, დღის რეჟიმის, ფიზიკური აქტივობის, სწორი კვებითი ჩვევებისა და კვების კულტურის დამკვიდრება. აღნიშნულ თემაზე ყოველ ხუთშაბათს ვატარებდი სახალისო გაკვეთილებს, რაშიც მეხმარებოდა პროგრამა – ნესტლე „ჯანმრთელი ბავშვები" – გლობალური პროგრამა საქართველოში, რომელსაც, კომპანია ნესტლეს დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ახორციელებს საქართველოს „მხიარული სტარტების" ეროვნული ფედერაცია. პროგრამის ფარგლებში, დამრიგებლებს და მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ სახელმძღვანელოები „მხიარული გაკვეთილები კვებაზე", მშობლებს საინფორმაციო-შემეცნებითი კედლის კალენდარი, რომელიც საუკეთესო მეგზურია ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისათვის.

სახელმძღვანელოს მთავარი გმირები არიან – ცნობილი მოგზაური ბუბა ბაბუ და თუთიყუში თუთიკო. ისინი ბავშვებს ბევრ საინტერესო ინფორმაციას აწვდიან. თეორიული ნაწილის გაცნობასთან ერთად მოსწავლეებმა საკუთარი ხელით გააკეთეს ხილის და ბოსტნეულის ტორტები, საგაზაფხულო სალათები, ისწავლეს სუფრის გაწყობა.

ვიმუშავეთ პროექტზე „რატომ უნდა მივირთვათ ხილი?". მოგეხსენებათ, ამ ასაკში ბავშვებს ხილზე მეტად სხვადასხვა ტკბილეული უყვართ. ეს ჩემ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა. ამიტომ შევთავაზე აერჩიათ მათთვის საყვარელი რომელიმე ხილი, მოეძიებინათ ინფორმაცია მის სასარგებლო თვისებებზე და ეს ინფორმაცია მეგობრებისთვისაც გაეზიარებინათ. შეგროვებული მასალა ავკინძეთ ბიულეტენის სახით. შევიმუშავეთ ჯანმრთელი კვების წესები, გამოვეცით სამახსოვროები – „ჯანმრთელები რომ ვიყოთ!". ვესტუმრეთ პირველკლასელებს, დავურიგეთ სამახსოვროები და გავუმასპინძლდით ხილით.

ჯანმრთელობა წარმოუდგენელია ფიზიკური აქტივობის გარეშე. ჩავატარეთ „მხიარული თამაშები". მოსწავლეები ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ თამაშში – სირბილში, ბურთის სროლასა და ბაგირის გაწევაში ეჯიბრებოდნენ. სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მშობლებიც. „მხიარული თამაშების" ორგანიზებისათვის სკოლის დირექციამ კლასი სიგელებით დააჯილდოვა.



განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა შემაჯამებელი ვიქტორინა, რომელიც 7 მაისს გაიმართა. გვესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ბატონი **ვალერიან გიორგაძე** და დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნინო მეტრეველი**; გვესტუმრნენ: „ნესტლეს" წარმომადგენელი, ქალბატონი **გვანცა გაბუნია**, წიგნის ავტორები – ქალბატონი **თამარ მანჯავიძე**, ბატონი **ლევან კიკალიშვილი** და ჩვენი სახელმძღვანელოს მთავარი გმირი – ბუბა ბაბუ (ბატონი **კობა ჭუმბურიძე**). შემაჯამებელი ვიქტორინის თანახმად, როგორც ეს მოსწავლის სახელმძღვანელოშია მოცემული, ბავშვების ამოცანას წარმოადგენდა ჯადოსნური სკივრის გახსნა, რისთვისაც მათ სხვადასხვა დავალებების შესრულება და სკივრის გასაღებების მოპოვება ევალებოდათ. იყო კითხვები განვლილი მასალიდან, იყო სახალისო დავალებებიც: მარცვლეულის დახარისხება, ბოსტნეულის და ხილის თვალახვეული, კითხვების მეშვეობით, გამოცნობა, დაშიფრული წინადადების წაკითხვა. მოსწავლეებმა თავიანთი ცოდნით მოიპოვეს ოქროს გასაღებები, გახსნეს სკივრი. ამოიღეს ძალიან ლამაზი ფერადი წიგნი – „მხიარული გაკვეთილები კვებაზე" და ბუბა ბაბუს მიერ მოტანილი სიგელები. ეს სიგელები ბუბა ბაბუმ ბავშვებს გადასცა, მათ კი კეთილი სურვილებით სავსე წერილები დაწერეს.





ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩვევების და შეხედულებების ჩამოყალიბება, ძირითადად, ბავშვობის ასაკში ხდება, ამიტომ მიმაჩნია, რომ ასეთი პროგრამა მათთვის ძალიან საჭიროა. თუ თქვენ დაინტერესდით ამ სტატიით, გვესტუმრეთ კლასის ბლოგზე – Khuskivadze.blogspot.com

**მზია ხუსკივაძე**
*სსიპ ქალაქ თბილისის*
*მე-60 საჯარო სკოლის*
*II [2] კლასის დამრიგებელი*

# სტუ ფუტსალის ჩემპიონია

სპორტკომპლექს „არენაში“ დასრულდა სტუდენტური პირველობის გათამაშება ფუტზალში. ტურნირი რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა კომპანია „ბილაინის“ დაფინანსებით, ორგანიზებას კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია უწევდნენ. ჩემპიონატი, პარალელურად, მიმდინარეობდა ორ ლიგაში – უმაღლესსა და პირველში. მათში, შესაბამისად, 12 და 16 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის ჩემპიონი სტუ-ს გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში თსუ 2:1 დაამარცხა და მთავარი ჯილდოც დაისაკუთრა, ბრინჯაოს მედალი კი სეუ-ს გუნდმა მოიპოვა.




# ბავშვები აღარ ხუმრობენ

16-წლამდე ასაკის ძიუდოისტები აგრძელებენ წარმატებულ გამოსვლას ჭაბუკთა ევროპის თასზე. წინა უქმეებზე მათ ბერლინში იჭიდავეს, მერე კი პოლონეთში გადაინაცვლეს ბევრად უფრო ძლიერ შეჯიბრებაში და კიდევ უფრო დიდი წარმატებით იჭიდავეს. იქ მათ 7 მედალი მოიპოვეს – 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ, რომლებმაც გოგონების მედლების ხარჯზე გაგვისწრეს, აი, ბიჭებში კი დიდი სხვაობით ჩამოიტოვეს ყველა (აქ რუსებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო დაიმსახურეს). ჩემპიონები **თემურ ნოზაძე** (50), **ჯამბულ ქურდიანი** (60), **გიგა გიგაური** (73) და **გიორგი გველესიანი** (90) გახდნენ, **ვანო ხუბაშვილმა** ვერცხლი (50) მოიპოვა, მესამეზე კი **რობინზონ ბეგლარიშვილი** (55) და **ბექა უდესიანი** (66) გავიდნენ. მისასალმებელია, რომ ბერლინის ფინალისტებმა ახლაც იმარჯვეს – გველესიანი კვლავაც ჩემპიონი გახდა, გიგაურმა კი მაშინდელი ვერცხლი ახლა ოქროზე გადაცვალა. გერმანული შედეგის გამეორება შეეძლო **დავით იმერლიშვილს** (81), ვინაიდან ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ წააგო და ამჯერად მეხუთეზე დარჩა. საინტერესოა, რომ პოლონეთში 10-კაციანი გუნდით გამოვდიოდით და, ერთის გარდა, ყველამ იჭიდავა მედლისთვის. თუმცა, პოლონეთში სატრაბახო სხვაც იყო. მაგალითად, შაბათს ოთხივე წონაში მედალი მოიპოვეს, ორში სულაც ფინალში იჭიდავეს, ამ ყველაფრის გვირგვინი კი ქართული ფინალი იყო.

ჩვენებიდან კარგი ჭიდაობით განსაკუთრებით გველესიანი და გიგაური გამოირჩეოდნენ. არ ვამბობთ, რომ სხვა ჩემპიონებმა ცუდად იასპარეზეს, მაგრამ ეს ორი, თავისი კლასით, შეუდარებლად მაღალ დონეზეა. ნამდვილად გასახარია ჭაბუკთა ასეთი კარგი გამოსვლა, რადგან ეს ერთი რამის დასტურია – ქართულ ძიუდოს კვლავაც კარგი მომავალი ეზრდება.




# ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე

აგვისტოს მეორე ნახევარში ჩინურ ნანჯინგში მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები დიდი ოლიმპიადების ანალოგიური პრინციპით ტარდება. ისიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და მასში მონაწილეობისთვისაც ლიცენზიების მოპოვებაა საჭირო. ეს თამაშები სოკ-ის ბელგიელ ექსპრეზიდენტ **ჟაკ როგეს** დამსახურებაა – ვიდრე ის ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტად მუშაობდა, ანალოგიური თამაშები „ბებერი კონტინენტის“ მასშტაბით დააარსა (სწორედ ის ღონისძიება, გაისად რაც უნდა გაიმართოს თბილისში), ხოლო როცა საერთაშორისოში წავიდა, იდეა იქაც წაიღო და, უკვე მსოფლიოს მასშტაბით, განახორციელა – 2010 წელს პირველ შეჯიბრებას სინგაპურმა უმასპინძლა. დღეს როგე არც ევროპის ეოკთა კომიტეტის პრეზიდენტია და არც სოკ-ისა, მაგრამ მის მიერ განხორციელებული კარგი საქმე კი დარჩა, რომელიც, როგორც ჩანს, სამომავლოდ კიდევ უფრო მძლავრად გაშლის ფრთებს.

დღეისათვის, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ანგარიშზე ამ თამაშების რვა საგზურია. ცხადია, სახეობების მიხედვით, ჭიდაობები ლიდერობენ – ძიუდო და თავისუფალი, რომელთა ანგარიშზეც 2-2 საგზურია. ზემოხსენებულ ევროპულ ფესტივალებში ძიუდო უპირობოდ ლიდერობს – მედლების აბსოლუტური უმეტესობა მათი მონაგარია, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა კი იმ თამაშების პროგრამაში არ შედის. სამაგიეროდ, მსოფლიოს ოლიმპიადის პროგრამაშია და, იმედია, საერთო მონაგარში ისინიც შეიტანენ თავიანთ წვლილს მედლებით. სამწუხაროდ, ბერძენ-რომაელებმა ამჯერად ვერ შეძლეს საგზურის მოპოვება. არადა, სალიცენზიო ტურნირზე – ევროპის პირველობაზე 2 ოქრო მოიპოვეს, მაგრამ იმ წონებში, რომლებიც სალიცენზიო ჩათვლაში არ შედიოდნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ნანჯინგში გამოსვლის უფლება **ივერი ჯულაყიძემ** (63) და **მექი სიმონიამ** (76) მოიპოვეს. ძიუდოისტთაგან ცნობილია გოგონათა ტურნირის მონაწილე – ქართველ ქალთაგან ევროპის პირველი ჩემპიონი (შარშან გაიმარჯვა) **მარიამ ჯანაშვილი** (57). მას, არსებითად, კონკურენტი არც ჰყავს – არც კონკურენციაა დიდი, ხოლო გოგონათა ნაკრების მეორე წარჩინებული წევრი, ევროპის პირველი მედალოსანი ქალი საქართველოდან – **მზია ბებოშვილი** (52) ჯერ ამ რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის პატარაა. გოგონებისგან განსხვავებით, ძიუდოს ფედერაციას ვაჟებში ასარჩევი ბლომად ჰყავს. თუმცა, ჯერ არც არჩევანი გაუკეთებია და, შესაბამისად, არც მონაწილე დაუსახელებია.

ჩვენი გუნდის სხვა ლიცენზიანტები არიან: **გიორგი ხარაბაძე** (69) – კრივში, **თეონა ჯანჯღავა –** ბატუტზე ხტომაში, მოხმალავე **ნიკოლოზ შენგელია –** ფარიკაობაში და **აკაკი ვაშაკიძე –** ცურვაში. სამწუხაროდ, საგზურების მოპოვების შანსი დაკარგეს მშვილდოსნებმა, რომლებსაც სლოვენიის საელჩომ, ამ დღეებში, ლიუბლიანაში მიმდინარე ევროპის პირველობაზე (საგზურები იქ გაიცემა) წასასვლელად ვიზები არ მისცა. სალიცენზიო შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდნენ ხუთჭიდელებიც და ახლა ჩვენი ძირითადი იმედი მძლეოსნებს უკავშირდება, რომელთაც ორიოდ კვირაში ექნებათ საკვალიფიკაციო შეჯიბრება. იმედია, ჩვენი დელეგაცია რაოდენობრივად კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა, ამ კუთხით, წინა ანალოგიური ოლიმპიადის მაჩვენებელი მაინც გაუმჯობესებულია – ოთხი წლის წინ სინგაპურში 5 მონაწილე გვყავდა.

*რუბრიკას უძღვება*
**ირაკლი თავაძე**

# მიეძღვნა სახელოვან ფეხბურთელებს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესთან ერთად, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**) და ამავე ცენტრის საუნივერსიტეტო საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის**, ორგანიზებით, არაერთი სპორტული ღონისძიება ტარდება და ქართველ სტუდენტებთან ერთად უცხოელი სტუდენტებიც აქტიურობენ.

თბილისის დინამოს ყოფილი ფეხბურთელები – ბატონი **ზორბეგ ებრალიძე**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა და **ფირუზ კანთელაძე**, საქართველოს სპორტის დამსახურებული რაინდის წოდების მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი, რომელსაც 65 წელი შეუსრულდა – მიწვეულნი იქნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც მათი სახელობის ტურნირი ჩატარდა მინი-ფეხბურთში.

ტურნირში უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. ასპარეზობაში 12 გუნდი ჩაერთო, ისინი ორ ქვეჯგუფად დაკომპლექტდნენ.

ფინალში ნიგერიის I გუნდი და ნიგერიის II გუნდი შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბული თამაში, ანგარიშით 4:2, ნიგერიის პირველმა გუნდმა მოიგო. სწორედ ნახევარფინალში, დაძაბულ ვითარებაში, ნიგერიის გუნდებმა 6:3 და 4:3 დაამარცხეს თურქეთისა და ერაყის გუნდები.

III ადგილი თურქეთის გუნდმა დაისაკუთრა, ერაყის გუნდს 5:2 მოუგო.

უცხოელ სტუდენტთა ოსტატობითა და მონდომებული თამაშით მოხიბლული დარჩნენ ვეტერანი ფეხბურთელები – ზორბეგ ებრალიძე და ფირუზ კანთელაძე. მათ გუნდები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებითა და თასებით დააჯილდოვეს, გამორჩეული ფეხბურთელები – პრიზებით. სატურნირო მატჩი მინი-ფეხბურთში საერთაშორისო სტატუსს ატარებდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, სტუდენტთა შეჯიბრებების სიუხვით, აშკარად პირველობს მინი-ფეხბურთში.









წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები"

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



# რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა




თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22



ფასი – 15 ლარი

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან

ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი




თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

## ქიმია

საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

## ქიმია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

## ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

## ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

## ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

## გეოგრაფია

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

## ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

## ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

## მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე"

დიოგენე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK